მაშველებმა სამი ახალგაზრდის გადარჩენა შეძლეს

ალიონი. 12 მარტს, დილიდან გავრცელდა ინფო-რმაცია, რომ კურორტ გომისმთის მისადგომებთან, ე.წ. „ვახტანგის საცივის“ ტერიტორიიდან, ახალგაზრდები მობილური ტელეფონით სამაშველო სამსახურს დაუკავშირდნენ და შველას ითხოვდნენ.

11 მარტს, სოფელ ბოხვაურიდან 4 ახალგაზრდა სანადიროდ კურორტ გომისმთაზე წავიდა. ისინი ცუდ მეტეოროლოგიურ პირ-ობებში მოხვდნენ, თავშესაფარი ვერ იპოვეს და გავრცელებული ინფორმაციით ღამით ერთ-ერთი ახალგაზრდა გაიყინა.

კურორტ გომისმთის გზაზე თოვლში ჩარჩენილი ახალგაზრდების გამოსაყვანად დილიდან მობილიზებული იყო სამაშველო სამსახურის 10-კაციანი ჯგუფი და მძიმე ტექნიკა. ადგილზე იმყოფებოდა სახელმწიფო რწმუნებული გიორგი სახოკია.

ქარბუქის და გართულებული ხილვადობის გამო, ვერ მოხერხდა სამაშველო სამუშაოებში ვერტმფრენის ჩართვა.

ადგილზე მობილიზებული იყო ყველა საჭირო ტექნიკა.

მეტეოროლოგიური პირობების გამო, სამაშველო ოპერაცია გართულდა, თუმცა 10-საათიანი უწყვეტი სამუშაოების შედეგად, მეხანძრე-მაშველებმა გომისმთაზე დაკარგული სამი ახალგაზრდა იპოვეს. სამაშველო ოპერაციის მიმდინარეობისას ერთ-ერთ მაშველს სუნთქვის უკმარისობა დაეწყო. იგი სამ ახალგაზრდასთან ერთად „მედალფას“ კლინინიკაში გადაიყვანეს. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია.

შაბათს, გარდაცვლილი ახალგაზრდის საძიებო სამუშაოებში განსაკუთრებული საქმეების ქუთაისი ბაზის მეხანძრე-მაშველები და კინოლოგები ჩაერთნენ. მათ იპოვეს გარდაცვლილის ცხედარი რომელიც სამა-შველო ვეტფრენით ქუთაისში ექსპერტიზაზე გადაასვენეს.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია მწუხარებას გამოთქვამს დაღუპული ახალგაზრდის გამო და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახს.

ალიონი

უძველესი გაზეთი უახლესი ინფორმაციებით!

გაზეთი გამოდის 1931 წლის 5 იანვრიდან

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი.

ყოველკვირეული გამოშვება. № 6 (10377) 15 მარტი 2021 წ. ფასი 60 თეთრი.

არასრულწლოვნის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის დანაშაულისთვის ოზურგეთში 1 პირი დააკავეს

შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1991 წელს დაბადებული **დ. მ.** ოზურგეთში დააკავეს. მას ბრალად ედება წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ოჯახის წე-ვრის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმე-დება.

დანაშაული 15-დან 20 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა არარეგისტრირებულ ქორწინებაში მყოფი მეუღლის არასრულწლოვანი შვილის - 2010 წელს დაბადებული ნ.გ.-ს მიმართ სექსუალური ხასიათის სხვაგვარი ქმედება ჩა-იდინა. ასევე დადგინდა, რომ დ.მ. აღნიშნულ ქმედებას თავისი არასრულწლოვანი გერის მიმართ სისტემატურად ახორციელებდა.

მამინაცვლის მხრიდან არასრულწლოვანი გერის მიმართ სექსუალური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედების შესახებ შეტყობინების მიღებისთანავე ოზურგეთის პოლიციის რაიონულ სამმართველოში დაუყოვნებლივ დაიწყო გამოძიება და სამართალდამცველებმა დ.მ. ბრალდებულის სახით დააკავეს.

გამოძიება საქართველოს სსკ-ის 11 პრიმ 138-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ვ“ და მე-4 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტებით მიმდინარეობს, რაც წინასწარი შეცნობით თოთხმეტი წლის ასაკს მიუღწეველი ოჯახის წევრის მიმართ ჩადენილი სექსუალური ხასიათის სხვაგვარ ქმედებას გულისხმობს. –აღნიშნულ ინფორმაციას შს ავრცელებს.



ბახვში საუკუნეობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები დასასრულს უახლოვდება

ალიონი. არაოფიციალური ინფორმაციით, ბახვში კორონავირუსმა იმდენად იმძლავრა, რომ პანდემიური სახე მიიღო., ამიტომ, სოფელში ჩასულები, უპირველესად ამ საკითხით დავინტერესთით. ბახვის ადმინისტრაციულ ერთეულში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენელმა **ირაკლი ცქვიტინიძემ** დაგვიდასტურა, რომ კოვიდი ადგილობრივ მოსახლეობაში მართლაც ძლიერ გავრცელდა, პირადად მას და თავისი ოჯახის წევრებსაც შეეხო, თუმცა საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა. დღეს ბახველები განსაკუთრებულ სიფრთილეს იჩენენ ამ თვალსაზრისით მოსალოდნელი საფრთხის მიმართ და იცავენ ჯანდაცვის სამინისტროს მიერ შემუშავებულ რეკომენდაციებს.

ბახველები წიგნიერი ხალხია და რადგან სოფლის თავკაცს ადმინისტრაციული შენობაში შევხვდით, მოვინახულეთ აქვე განთავსებული სოფლის ბიბლიოთეკა, რომლის წიგნადი ფონდი 4 000 ეკზემპლარზე მეტია. როგორც აქ გვითხრეს, ბოლო დროს შეინიშნება მკითხველთა მატება, რაც იმას ნიშნავს, რომ საჭიროა წიგნადი ფონდის გაზრდა და გამრავალფეროვნება,

ბახვზე მომზადებულ წინა რეპორტაჟში ვიუწყებოდით, რომ ამ სოფელში ინფრასტრუქტურული მშენებლობების ბუმია. ეს ტენდენცია დღესაც გრძელდება და შეიძლება ითქვას, რომ ინტერნეტიზაციითა და წყალსადენის მშენებლობით აქ საუკუნეობრივი მნიშვნელობის პროექტები ხორციელდება.

როგორც ირაკლი ცქვიტინიძემ გვითხრა, ყველა წინაპირობაა საიმისოდ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულებიდან ბახვი ერთ-ერთი პირველი იყოს ინტერნეტიზებულ სოფლებს შორის. მთლიანად დამთავრებულია ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელით დაქსელვა, მალე დაიწყება ამ კაბელების მოსახლეობაში შეყვანისა და სააბონენტო სისტემის სრულყოფის სამუშაოები.

სოფელში წყალსადენის მშენებლობას აწარმოებს საქვეყნოდ ცნობილი ფირმა „უნივერსალ ჯორჯია – 2008“.

პროექტის მთავარი ინჟინრის დავით ჩიტაძის თქმით, წყალსადენის მშენებლობა მაქსიმუმ მაისის დასაწყისში დამთავრდება:

*„საკმაოდ მოცულობითი პროექტია, რომლის ღირებულება 7 მილიონ 200 ათას ლარს შეადგენს. შეიძლება ითქვას, რომ უკვე მზადაა 4 რეზერვუარი, სათავე ნაგებობები, სათავე ნაგებობების წყალშემკრებები. მაგის-ტრალისთვის ვიყენებთ მხოლოდ მაღალი ხარისხის **R**-100-ის მილებს. ამ ეტაპზე თითქმის შესრულებულია სამუშაოების 80-85 პროცენტი. წყალსადენის მშენებლობა მაქსიმუმ მაისის დასაწყისში დამთავრდება და ამ დროიდან მაღალხარისხიან სასმელ წყალს უწყვეტი რეჟიმით მიიღებს ვაკიჯვრის, ფამფალ-*

▶▶▶ გვ-3

გაზეთი „ალიონი“ სარეკლამო მომსახურების ტარიფები

– მე-2 მთლიანი გვერდის (648 კვ.სმ) ღირებულება 120 ლარია;

– მე-3-7 (თითოეული 810 კვ. სმ) მთლიანი გვერდებისა – 150-150 ლარი;

– 1-ლი, ფერადი გვერდი მთლიანად (810 კვ. სმ) არ იყიდება, ნახევარი გვერდის (405 კვ. მ) ღირებულება 300 ლარია;

– ბოლო, მე-8, ფერადი გვერდი მთლიანად 300 ლარი ღირს;

– შიდა შავთეთრ გვერდებზე ფერადი ბეჭდვის შემთხვევაში გვერდის საფასური 50 ლარით იზრდება.

– პოლიტიკური რეკლამის ღირებულება ორმაგია;

– მილოცვა ფერად გვერდზე 32,40 კვ. მ-ზე, სურათით - 25 ლარი;

– სამგლოვიარო განცხადება - სიტყვა 25 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

– გახსენება, ნეკროლოგი – სიტყვა 20 თეთრი, პლუს სურათი (5X6 სმ) - 2 ლარი;

საცალო ფასი: 60 თეთრი,
ხელმოწერა:
ერთი თვით – 2,40 ლარი,
სამი თვით – 7,20 ლარი,
6 თვით –14,40 ლარი,
ერთი წლით – 29,60 ლარი.

გაზეთში გამოქვეყნებული მასალების შინაარსი შეიძლება არ ემთხვეოდეს რედაქციის თვალსაზრისს.

ავტორები თვითონ არიან პასუხისმგებელი ინფორმაციის სიზუსტეზე.

რედაქციაში აუდიოჩანაწერები ინახება ორი კვირის განმავლობაში, ამ ვადის გასვლის შემდეგ პრეტენზიები აღარ მიიღება.

რედაქცია ავტორებისაგან არ მიიღებს სამ ხელნაწერ გვერდზე მეტ მასალას.

გამოქვეყნებული მასალების გადაბეჭდვა აკრძალულია რედაქციიდან ნებართვის გაცემის გარეშე.

სარედაქციო კოლეგია

რედაქტორი
ნუგზარ ასათიანი
nugzarasatiani15@gmail.com
558 499100

საინფორმაციო სამსახურის ხელმძღვანელი:
თემურ მარშანიშვილი
tem52@mail.ru
599 373515

კომპიუტერული უზრუნველყოფა
გიორგი გოგოლაძე
gia_77@mail.ru
551 576060

რედაქციის მისამართი: ქ. ოზურგეთი, გაბრიელ ეპისკოპოსის ქ.№3
ტელ: 558 499 100 გაზეთი რეგისტრირებულია ოზურგეთის რაიონულ სასამართლოში 18. 11. 2004 №44/4-311
გაზეთი იბეჭდება გამომცემლობა

დაინყეთ ყოველი ოხშაბათი ალიონზე

«ალიონით»

სოფელ ციხისფერდში ტაძრის კურთხევა გაიმართა



ალიონი. გასულ პარასკევს, სოფელ ციხისფერდში, ღირსი მამის შიო მღვიმელის სახელობის ტაძრის კურთხევა გაიმართა.

საზეიმო წირვა შემოქმედელმა ეპისკოპოსმა, მეუფე **იოსებმა** აღავლინა. საზეიმო წირვაში რამდენიმე ეპარქიის სასულიერო პირები მონაწილეობდნენ.

ციხისფერდის ღმრთისმშობლის შობის სახელობის ეკლესია მე-15 საუკუნით თარიღდება, რომლის აღდგენა ამჟამად მოხდა ქართველი ბიზნესმენის გიორგი ანდღულაძის მეოხებით.

ჩვენი ინფორმაციით ტაძრის წინამძღვარი მამა დავითი (მექვაბიშვილი) იქნება.

ნარჩენების შესაგროვებელი მძიმე ტექნიკა ოზურგეთში

ალიონი. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ავტოპარკს ახალი, ულტრათანამედროვე სტანდარტების ნარჩენების შესაგროვებელი მძიმე ტექნიკა შეემატა.

მუნიციპალიტეტის მერია ეკონომიკის განვითარებისა და ქონების მართვის სამსახურის მიერ მომზადებული პროექტით იაპონიის საელჩოს „ადამიანის უსაფრთხოების საგრანტო პროგრამის“ გამარჯვებული გახდა.

შედეგად იაპონიის საელჩოს დაფინანსებითა და მუნიციპალიტეტის თანადაფინანსებით ოზურგეთის მერიას გადმოეცა ნაგავშემკრები მანქანა კონსტრუქციულად შესაბამისი სანაგვე ურნებით, რაც დაეხმარება ქალაქს გადავიდეს ნარჩენების სეგრეგაციასა და მისი მართვის უფრო მდგრად მოდელზე.

მოსწავლეთა საჭადრაკო ტურნირზე

ალიონი. ოზურგეთის საჭადრაკო კლუბში დამთავრდა საჭადრაკო ტურნირი რომელიც მარტის სადღესასწაულო დღეებს მიეძღვნა. ტურნირი 8 და 10 წლამდე ასაკის მოსწავლეთა შორის ჩატარდა, 8 ჭაბუკებში I-II ადგილები **ლაზარე ჩხარტიშვილმა** და **გაბრიელ მაკვიამ** გაიყო. მათ დამატებითი მაჩვენებლებიც თანაბარი აღმოაჩნდათ და ორივე გამარჯვებულად გამოცხადდა. თუმცა ლაზარეს ის უპირატესობა ჰქონდა,რომ იგი 6 წლისაა და ჯერ სკოლის კარი არ შეუღია. მესამე ადგილზე **ერეკლე ანდღულაძე** გავიდა, რომელიც გამარჯვებულებს მხოლოდ ერთი ქულით ჩამორჩა. 10 წლამდე ასაკში ტურნირი სარეკორდო შედეგით მოიგო **ნიკოლოზ ბარამიძემ,** რომელმაც ყველა მეტოქე დაამარცხა და დამსახურებულად დაიკავა პირველი ადგილი გაიმარჯვა. რაც შეეხება მომდევნო ორ საპრიზო ადგილს, აქ ერთროულად (12 შესაძლებლობიდან 9-9 ქულით) ოთხი მოჭადრაკე აღმოჩნდა მოდავე. დამატებითი კრიტერიუმებით და ორგანიზატორების გადაწყვეტილებით, მეორე საპრიზო ადგილი მიენიჭა **დემეტრე გოგიტიძეს** და **გიორგი სირბილაძეს,** ხოლო მესამე ადგილი **სანდრო გოგუაძეს** და **ალექსანდრე სირბილაშვილს** ხვდა წილად. გოგონათა შორის საპრიზო სამეული გაინაწილეს **ანასტასია ხინთიბიძემ, მარიამ ერქომაიშვილმა** და **ნია ჭანუყვაძემ.**

ტურნირი დაიხურა საზეიმო ვითარებაში. წარმატებული მოჭადრაკეები დაჯილდოვდნენ შესაბამისი დიპლომებით და სუვენირებით, რომელიც მათ ფედერაციის პრეზიდენტმა **ზურაბ ანდღულაძემ** გადასცა. ტურნირის თითოეულ მონაწილეს გადაეცა ასევე, პირადი მოხმარების სადეზინფექცო დეზიტაიზერი.

სუპერმარკეტ „მოდერნის“ დაყაჩაღების ფაქტი გახსნილია

შსს გავრცელებული ინფორმაციით ოზურგეთში სამართალდამცავებმა 21 წლის მამაკაცი სუპერმარკეტ „მოდერნის“ ყაჩაღობის ბრალდებით დააკავეს.

„შინაგან საქმეთა სამინისტროს გურიის პოლიციის დეპარტამენტის ოზურგეთის რაიონული სამმართველოს თანამშრომლებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 2000 წელს დაბადებული **გ.ქ.,** ყაჩაღობის ბრალდებით, ოზურგეთში დააკავეს.

დანაშაული 5-დან 7 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებული მიმდინარე წლის 5 მარტს, ოზურგეთში, ექვთიმე თაყაიშვილის ქუჩაზე მდებარე სუპერმარკეტ „მოდერნში“ შეიჭრა, მოლარეს ცივი იარაღის მუქარით 135 ლარი გასტაცა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა.

სამართალდამცველებმა, ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებების შედეგად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე, გ.ქ. ბრალდებულის სახით დაკავეს. დაკავებული ჩადენილ დანაშაულს აღიარებს.

ყაჩაღობის ფაქტზეგამოძიება საქართველოს სსკ-ის 179-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მიმდინარეობს“, –ნათქვამია შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

„კოვიდ 19“-ის რეგიონული შტაბის წევრებთან შეხვედრა



სახელმწიფო რწმუნებულმა გურიის მხარეში **გიორგი სახოკიამ** კოვიდის რეგიონული შტაბის წევრებთან მორიგი შეხვედრა გამართა და მათთან ერთად განიხილა ეპიდვითარება რეგიონში.

გასული დღე-ღამის განმავლობაში რეგიონში დაინფიცირების 5 ფაქტი გამოვლინდა. შეხვედრაზე განიხილეს ის ნაბიჯები, რომელიც შეიძლება გადაიდგას ინფიცირებულთა რიცხვის შესამცირებლად.

რწმუნებულის გადაწყვეტილებით, გრძელდება ყველა იმ ბიზნესობიექტზე დასაქმებული პირების უფასო ტესტირება, სადაც მომუშავეთა რიცხვი 30 და მეტია.

ბოლო კვირის მონაცემებით, გურიის რეგიონში 168 კოვიდდადებითი პაციენტია: ოზურგეთში - 63, ლანჩხუთში - 59, ჩოხატაურში - 46, აქედან, 58 - მკურნალობს კლინიკაში; თვითიზ-ოლაციაში იმყოფება 523 ადამიანი, დაფიქსირებულია გარდაცვალების 60 შემთხვევა, ჯამში, რეგიონში ბო-ლო 2 კვირის განმავლობაში ინფიცირების 3 %-იანი მაჩვენებელი გვაქვს.

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო - საქართველოს პირველობიდან ჩვენია...

ქალაქ გურჯაანში უმცროს ჭაბუკთა შორის ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა.

აღნიშნულ შეჯიბრზე წარმატებით გამოვიდნენ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სპორტულ - გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა გაერთიანებასთან არსებული ჭიდაობის სექციის სპორტსმენები.

პირველი ადგილი - **ერეკლე თაბერიძე** (38 კგ);

მეორე ადგილი - **ალექსი ფასიეშვილი** (41 კგ);

ოქროს მესამე (52 კგ) - **რამაზ ხმალაძე,სანა სირაძეს და რეზი გუჯაბიძეს** ერგო (შესაბამისად 38,75,41 კგ.)

ჭაბუკთა პირველობაზე ბერძნულ - რომაულ ჭიდაობაში მესამე ადგილი (52 კგ) **კოტე ცეცხლაძემ** აიღო, ბრინჯაო კი (48კგ) **ლუკა ფიფიამ** მოიპოვა.

ასპარეზობისათვის სპორტსმენები მწვრთნელებმა : ძმებმა ზურაბიანებმა, გურამ მაჭარაშვილმა, კობა ბალავინოვმა, კახაბერ აბაშიძემ, ლაშა გუჯაბიძემ და ლაშა დოლიძემ მოამზადეს.

პირველობაზე გურიამ და ოზურგეთმა გუნდური მეორე ადგილი აიღო.

ბახვში საუკუნეობრივი მნიშვნელობის ინფრასტრუქტურული პროექტები დასასრულს უახლოვდება

ეთის, ბახვის, ქვედა ბახვისა და ბაღდადის მოსახლეობა.

მშვიდობაურის, დვაბზუსა და ცხემლისხიდის წყალმომარაგებას ითვალისწინებს მეორე პროექტი, რომლის ღირებულება 9 მილიონ 438 ათასი ლარია“. – თქვა „ალიონთან“ საუბარში **დავით ჩიტაძემ.**

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოში ბახვის მაჟორიტარი დეპუტატის **ეროდი გორდელაძის** თქმით, სოფელში საგზაო ინფრასტრუქტურა ძირითადად მოგვარებულია, რჩება რამდენიმე მონაკვეთი, რომელიც აუცილებლად მოწესრიგდება:

„საგზაო ინფრასტრუქტურა ძირითადად მოგვარებულია. არის რამდენიმე მონაკვეთი და შიდა გზები, რომელიც უახლოეს პერიოდში აუცილებლად მოწესრიგდება. ვიმედოვნებთ, რომ უნაკლოდ შეკეთდება წყასადენის მშენებლობის პროცესში გათხრების შედეგად დაზიანებული გზები. რაც შეეხება ბახვი-ფამფალეთის გზას, ჯერ-ჯერობით არ არსებობს პროექტი, როგორც ხედავთ, წყალსადენის მშენებლობა ჯერ კიდევ მიმდინარეობს. მისი დასრულების შემდეგ კი არც საქმეს დაუდგება რაღე წინ“.

სოფელში შარშან განხორციელებული პროექტებიდან ირაკლი ცქვიტინიძე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გარე განათების მოწყობას:

„გარე განათებისთვის გამოყოფილი იყო 108 ათასი ლარი. გარე განათებები დამონტაჟდა მშვიდობაურში, ბახვში, ქვედა ბახვში 18 კილომეტრზე. ამ პროექტიდან ცოტაოდენი თანხა დაგვრჩა, რომელიც მოხმარდება ბახვში სპორტული ბაღის შენობაზე ე. წ, „ჟოლობების“ მოწყობას“.

გარდა ამისა, ქვედა ბახვში შეიღობა სასაფლაო და გაკეთდა 250 მეტრი სიგრძის ბეტონის გზა.

ინფრასტრუქტურული პროექტები ბახვში, რა თქმა უნდა წლეულსაც გაგრძელდება. მშვიდობაურის ცენტრში მოეწყობა სკვერი, რომელსაც სოფლის მკვიდრის, დამსახურებული პიროვნების სულიკო ცქვიტინიძის სახელი მიენიჭება...

მოკლედ, შეიძლება ითქვას, რომ ისტორიული სოფელი ბახვი,ამ და სხვა პროექტების განხორციელებით, თავის ახალ ისტორიას წერს.

კარგად დაქოქილი და დიდი სიზუსტით მომუშავე საათი

თემურ მარშანიშვილი

ისტორიული ბახვის ისტორიული სკოლა გაისად დაარსებიდან 150 წლისთავს იზეიმებს. სკოლის არქიტექტურულად სრულქმნილი შენობის რეაბილიტაცია შარშან დამთავრდა. სარეაბილიტაციო ხარჯები, 1 125 000 ლარის ოდენობით, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გაიღო, სამუშაოებს აწარმოებდა შპს „სვირი“.

სკოლის დირექტორი, ქალბატონი **მზია ვაშალომიძე** ამბობს, რომ შენობის რეაბილიტაციას კი შეჰპირდნენ, მაგრამ ამოდენა თანხების გამოყოფას და ასეთი მასშტაბური პროექტის განახორციელებას ნამდვილად არ მოელოდა, ამიტომ განსაკუთრებულ მადლიერებას გამოხატავს როგორც სამინისტროს, ისე მშენებელი ფირმის მისამართით:

„ამ საკითხზე არაერთხელ შევხვდი როგორც სამინისტროს, ისე სხვა უწყების წარმომადგენლებს. დაინტერესდნენ, ჩამოვიდნენ და საკუთარი თვალით ნახეს, რა მდგომარეობაში იყო სკოლის შენობა. კი, შემპირდნენ რეაბილიტაციას, მაგრამ ამ მიზნით ამოდენა თანხას თუ გამოყოფდნენ და ასეთ მასშტაბურ პროექტს თუ განახორციელებდნენ, ნამდვილად არ მოველოდი. განსაკუთრებული მადლობა მინდა ვუთხრა როგორც სამინისტროს, ისე მშენებელ ორგანიზაციას. შპს „სვირმა“, გარდა იმისა, რომ მაღალხარისხოვნად ჩაატარა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები, რამდენიმე ლოკალური პრობლემაც გადაუწყვიტა სკოლას“.

სკოლა როგორც საგანმანათლებლო რესურსით, ისე ინფრასტრუქტურით მზად არის განახორციელოს ნებისმიერი მასშტაბის სასკოლო პროექტი. ამ ნიშნით ბახვის საჯარო სკოლა ყოველთვის გამორჩეული იყო, მაგრამ ერთგვარი პიკი, ალბათ, სკოლაში ამერიკელი მოხალისეების ორ-ორი წლით მოღვაწეობისას იყო:

„შვიდი მოხალისე გვყავდა ორ-ორი წლით და თითოეულთან ერთად, მინიმუმ თითო პროექტი მაინც განვახორციელეთ. ასე შევქმენით ინგლისური ენის ორი კაბინეტი, ინგლისურენოვანი ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ქსელი, საქტო დარბაზი. ენერგეტიკული კრიზისის დროს, დურ?ანაზე (პატარა მდინარე) მიკროჰესიც კი ავაგეთ, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ,სამწუხაროდ, გაძარცვეს ვაიმეჯართეებმა.

ერთ-ერთი პროექტის პრეზენტაციაზე აშშ-ს მაშინდელი ელჩი საქართველოში, ბატონი რიჩარდ მილსიც კი ჩამოვიდა ბახვში ინგლისურენოვან პროექტში გამარჯვებული 8 ბახველი მოსწავლის დასაჯილდოებლად.

ვამყობთ იმით, რომ ერთ-ერთი მოხალისე, კორეული წარმოშობის ამერიკელი ქალბატონი ქელენ ჩანგი, აქედან წასვლის შემდეგ მუშაობდა ამერიკის სენატში იურისტ-კონსულტანტად. ეს ის ქელენ ჩანგია, რომელმაც შესანიშნავად შეისწავლა ქართული ენა, განსაკუთრებით გურული კილოკავი და ამ კილოკავით მიესალმა ამერიკაში ჩასულ ჩვენებურებს“.

ამ დიდებული ტრადიციებისა და არაერთი სახელოვანი მამულიშვილის აღმზრდელი სკოლის დირექტორს სხვაც ბევრი აქვს საამაყო, მაგალითად, ის, რომ ჰყავს ერთმანეთის წარმატებაზე ორიენტირებული პედაგოგთა გუნდი:

„ჩემი, როგორც ხელმძღვანელის, ყველაზე მეტ წარმატებად მიმაჩნია, რომ მყავს ერთმანეთის წარმატებაზე ორიენტირებული პედაგოგთა გუნდი“.

ქალბატონმა მზია ვაშალომიძემ ამ სკოლაში განვლო ბავშვობისა და ყმაწვილქალობის ხანა, აქვე ბრძნულად ატარებს თავისი ჭარმაგობის წლებსაც. ამიტომ ბახვის სკოლა მისთვის მხოლოდ სასწავლო დაწესებულება კი არა, მშობლიური ოჯახია, ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. მენტორ მასწავლებელსა და პოეტ ქალს ორჯერ ზედიზედ სკოლის დირექტორად არჩევის შემდეგ, წესით, უფლება არ აქვს მესამე ვადითაც მართოს მშობლიური სკოლა. რა ჩვენი გადასაწყვეტია, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, დიდ დარღვევად არ უნდა ჩაითვალოს, თუ ქალბატონ მზიას მიეცემა შესაძლებლობა, მესამე ვადითაც უხელმძღვანელოს ამ სასწავლო დაწესებულებას, მით უფრო, როცა ასეთი წარმატებული დირექტორია,როცა არც პედაგოგიურ კოლექტივს შეუძლია ქალბატონი მზიას გარეშე და არც ქალბატონ მზიას ძალუძს თავისი სკოლის პედაგოგიური კოლექტივისა და აღსაზრდელების გარეშე, როცა სკოლა კარგად დაქოქილი და დიდი სიზუსტით მომუშავე საათია, რომლის მთავარი მექანიზმი სანდო და უტყუარია.

ამ საკითზე ქალბატონი მზიას პოზიცია ასეთია:

„სხვა სკოლის დირექტორობას მირჩევნია, მშობლიურ სკოლაში დავრჩე ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად“.

მუნიციპალიტეტი დააფინანსებს იმ სასიკეთო წამოწყებებს, რომლებიც ქალებს და მათ ჯანმრთელობას ეხება..“



ალიონი. ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით ოზურგეთში, ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრში, „ქალთა ოთახთან“ არსებული „გამარჯვებული ქალთა კლუბის“ წევრების ნამუშევ-რების გამოფენა გაიმართა.

„გამარჯვებულ ქალთა კლუბი“ აერთიანებს იმ ქალბატონებს, რომელთაც დაამარცხეს სიმსივნე. კლუბი ადგილობრივ თვითმმართველობებთან თანამშრომლობით სხვადასხვა საინტერესო პროექტებს ახორციელებს, ეს არის მიზნობრივი სამედიცინო კვლევების დაფინანსება, სპეციალური ფიზიკური ვარჯიშების ორგანიზება, ფსიქოლოგიური მომსახურების სერვისი და ა.შ.

ამ თემაზე სიტყვებით გამოვიდნენ ექიმი **ნინო ქევანიშვილი,** ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდობის, ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების სამსახურის უფროსი **მარინა ჯაფარიძე**, გამარჯვებულ ქალთა კლუბის ხელმძღვანელი მანანა ღლონტი, ფოლკლორის ცენტრის დირექტორი **ავთანდილ სურგულაძე.**

ღონისძიებას ოზურგეთის მერი **კონსტანტინე შარაშენიძე**, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თამჯდომარე **დავით დარჩია** დაესწრნენ და სიტყვებით მიმართეს საზოგადოებას.

–*„მინდა ყველა ქალბატონს მივულოცო ქალთა დღე, ვუსურვო ჯანმრთელობა, დღეგრძელობა და ბედნიერება. მუნიციპალიტეტი ყოველთვის დააფინანსებს იმ სასიკეთო წამოწყებებს, რომლებიც ქალებს და მათ ჯანმრთელობას ეხება,“* – აღნიშნა კონსტანტინე შარაშენიძემ.

ღონისძიება მხატვრულად ოზურგეთში მოქმედმა ფოლკლორულმა ანსამბლებმა („შვიდკაცა“, „რეხეული,“ თემურ ანდღულაძე) და სახელმწიფო, დრამატული თეატრის მსახიობმა ბელა კიკვაძემ გააფორმეს.

გამოიწერეთ გაზეთი „ალიონი“

6 თვით – 15 ლარი;

ერთი წლით – 30 ლარი

კაცი, რომელიც დაგვაკლდა ყველას



პირველ რიგში მარჯვნიდან პირველი არსენ კეჭაყმაძე

თითქმის ორი თვე გავიდა მას შემდეგ, რაც ოზურგეთმა დაკარგა ქალაქის კოლორიტული პიროვნება, საპატიო მოქალაქე, საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორპონდენტი, ეკოლომიკურ მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი, ღირსების ორდენის კავალერი, ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგისა და სურსათის დიაგნოსტიკის ცენტრი \ანასეულის" ყოფილი დირექტორი **არსენ კეჭაყმაძე.**

ბატონი არსენი ოზურგეთში, ცნობილი, ბრწყინვალე ინტელიგენტების ზინაიდა თოხაძისა და შოთა კეჭაყმაძის ტრადიციულ ოჯახში აღიზარდა, შემდგომ გახდა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის ირაკლი გამყრელიძის სიძე, მისი ქალიშვილის ლუარა გამყრელიძის მეუღლე გახდა, ხოლო მისი და — ლიანა კეჭაყმაძე საქვეყნოდ ცნობილი პოეტისა და საზოგადო მოღვაწის გიზო ნიშნიანიძის მეუღლე, შვილები ნინო ხიზანიშვილი, შოთა კეჭაყმაძე.

ქ. ოდესის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის აგრონომიული ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ, სრულიად ახალგაზრდა დაინიშნა ჩაის და სუბტროპიკული კულტურათა საკავშირო სამეცნიერი-კვლევითი ინსტიტუტში, ჯერ უმცროს, ხოლო შემდეგ უფროს მეცნიერ მუშაკად, შემდეგ იყო ასპირანტურა., რომლის დამთავრების შემდეგ დაიცვა დისერტაცია და გახდა ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი — გარკვეული წლები იყო ლაითურის მეურნეობის აგრონომი, კლიმატური გამოცდების სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელი.

ყველაზე ნაყოფიერი იყო ბატონი არსენის მოღვაწეობა ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში, როგორც დირექტორი, გამოქვეყნებული ჰქონდა მრავალი სამეცნიერო შრომა, რომელიც დიდი აქტუალობით გამოირჩეოდა. ორჯერ იყო მივლინებული გერმანიის დემოკრატიულ და შრილანკას რესპუბლიკაში, ცეილონზე — სამსახურებრივი მივლინებით. ოთხგზის არჩეული იყო ქალაქისა და რაიონული საბჭოს დეპუტატად. სადაც კი უმუშავია, ბატონი არსენი იყო პრინციპული, მინდობილი საქმისადმი მაღალი პასუხისმგებლობით დაჯილდოებული ადამიანი.

1968 წელს, როცა საქართველოს ეწვია ცნობილი მწერალი, აკადემიკოსი, ნობელის პრემიის ლაურეატე მიხეილ შოლოხოვი, ბატონმა არსენმა ჩვეული მჭერმეტყველებით, საზოგადოებაში გამორჩეული მომხიბლველი გარეგნობით და სუფრის გაძღოლის მისეული მანერით, ხალხური თუ სუფრული სიმღერების შესრულებით და ხალასი იუმორით აღაფრთოვანა სასიქადულო მწერალი, რომელმაც ასეთი სიტყვები ჩაუწერა უბის წიგნაკში: *„ძვირფასო არსენ! დატ-ყვევებული ვარ, თქვენი ასაკის მიუხედავად, ჭკვიანი თვალებით და აზროვნებით, მამაშვილურად გეხვევი და გისურვებ ყოველივე საუკ-ეთესოს ცხოვრებაში“.*

სამწუხაროდ, ბედის უკუღმართობის გამო, ბატონმა არსენმა ტრაგიკულად განიცადა მისი ცხოვრების თანამგზავრის, საყვარელი მეუღლის გარდაცვალება. მიუხედავად ამისა, მას არ დაუკარგავს საზოგადოებასთან ურთიერთობის, ოჯახისათვის ზრუნვის მაღალი პასუხისმგებლობა.

1977 წლიდან ბატონი არსენი ზონალური აგროქიმიური ლაბორატორიის გამგედ დაინიშნა. მისი უშუალო ხელმძღვანელობით აშენდა ანასეულში ერთადერთი ლაბორატორიის გრანდიოზული შენობა, ამჯერად საქართველოში ყველაზე პრივილეგირებული ცენტრი „ანასეული“.

ბატონი არსენი კეთილგონიერებით, თანამშრომლებთან ურთიერთობის განსაკუთრებული თვისებებით ახერხებდა ჭირსა თუ ლხინში გვერდში დადგომოდა თითოეულ მათგანს, ყველასთან პატივისცემაზე აგებული ურთიერთობა ჰქონდა. ამიტომაც ტკივილიანია ყოველი დღე, როცა ვიგონებთ ამ შესანიშნავ პიროვნებას, რომელმაც დიდებულად განვლო თავისი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრების გზა, დაგვიტოვა დიდი სიყვარული და ამავე დროს დიდი გულისტკივილი, მისი საწუთროდან წასვლის გამო.

განსაკუთრებით მინდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ თითქმის საუკუნის თანატოლი ბატონი არსები დიდი სიყვარულით და პატივისცემით იყო გარემოსილი, სიცოცხლეს ულამაზებდნენ შვილები, შვილიშვილები, შვილთაშვილები და მზრუნველი მოსიყვარულე მეუღლე ქეთევან აფხაზავა. ასეთ გარემოცვაში მყოფს, ხშირად თანამშრომლებიც სტუმრობდნენ და იწყებოდა საუბრები და მოგონებები მისი ბიოგრაფიული ნაწარმოებიდან „ცხოვრების გზაზე სერიოზულად და ხუმრობით“, სადაც დიდი სიცხადითაა წარმოდგენილ ანასეულის დიდებული წარსული და აწმყო, რომელსაც დიდი სიამოვნებით ისმენდა და ხალისობდა.

წავიდა ჩვენგან სამშობლოს, ხალხის, ოჯახის და მეგობრების წინაშე პირნათლად ვალმოხდილი, ძალზე ერუდირებული და ფრიად განსწავლული, ამაგდარი ადამიანი, რომელმაც სიცოცხლეშივე დაიდგა უკვდავების გვირგვინი.

უფალო! საუკუნო სასუფეველი დაუმკვიდრე ბატონ არსენს ზეციურ საქართველოში.

საქართველოს გარემოს დაცვის და სოფლის მეურნეობის სამინისტრო, ადამ ბერიძის სახელობის ნიადაგის, სურსათის და მცენარეტა ინტეგრირებული დაცვის ცენტრი „ანასეული“.

ალიონი 90

1936 წელი

საპარაშუტო კოშკის ასაგებად

ქ. მახარაძეში საპარაშუტო კოშკის ასაგები ფონდის გასა–ძლიერებლად შემომაქვს –40 მანეთი და ვიწვევ ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობიდან: შალვა რუხაძეს, ლ. შერმადინ-თავამაიშვილს, სევერიანე ლომაძეს, ივანე გოგუაძეს, ლაზარე ნიკოლაიშვილს, მიშა თვალავაძეს, მიშა გვარჯალაძეს, მოსე ნიკოლაი-შვილს, სერგო გოგეშვილს, ნიკა ჯინჭარაძეს, გრიშა გოგელიას. ჩაის ფაბრიკიდან: რაჟდენ რუსიას, მოსე ვასაძეს, მოსე ღლონტს და ნანეიშვილს.

საბჭოთა მეურნეობის ტექნიკუმის დირექტორი ***ვ. ფუტურიძე.***

№67, 27 სექტემბერი, 1936 წ.

მახარაძის მუშათა თეატრი სეზონის გახსნის წინ

თეატრმა შემოიკრიბა რა გარშემო ადგილობრივი, როგორც ძველი, გამოცდილი, აგრეთვე ახალგაზრდა ნიჭიერი სცენის მუშაკები, 8 სექტემბრიდან შეუდგა 1936-37 წლის სეზონისათვის მზადებას.

თეატრის განზრახვაა: წელს მაყურებელ საზოგადოებას აჩვენოს სცენიდან როგორც მუშათა კლასის რევოლუციური ბრწყინვალე ბრძოლის გმირთა სახეები, აგრეთვე ახალგაზრდა საბჭოთა ადამიანი -ფოლადისეული მტკიცე ხასიათით, საერთო საქმისადმი უანგარო თავდადებით და უსაზღვრო ენთუზიაზმით გამსჭვალულნი...რისთვისაც თავის საორიენტაციო რეპერტუარში მან შეიტანა შემდეგი პიესები: „მტრები,“ „რღვევა“ ლავრენტიევის, „არიან“ გ. დარისპანაშვილის, „ბრმა“–გ. მდივნის, „მსხვერპლი“ –ი. გედევენიშვილის, „პური“–კირშონის და „ვინ არის დამნაშავე“ –ნ. ნაკაშიძისა.

„მტრები“ და „ვინ არის დამნაშავე“–ამ დღეებში მზად იქნება დასადგმელად.

სეზონის გახსნა განზრახულია 17 ოქტომბერს–ლავრენიევის პიესით „მტრებით,“ რომელსაც აფორმებს თეატრის მუდმივი მხატვარი ლ. მალაზონია.

უკვე ჩატარებული მუშაობის ის ნაყოფი, რომელიც ჯერ-ჯერობით არ სჩანს, ნათელყოფს რომ ქ. მახარაძეში, თამამად შეიძლება თეატრალური სეზონის წარმოება. თეატრს ყავს ახალგაზრდა ნიჭიერი მსახიობები: **გ.ღლონტი, შ. ჩავლეშვილი, ფ. კოპლატაძე, ვ. გობრონიძე, ი. მეგრელაძე** და სხვა. ეს ახალგაზრდები უდგანან გვერდში დამსახურებულ სცენის მუშაკებს (**ს. ხურციძე, ე. თალაკავაძე, ი. ზურაბიშვილი)**, მარტო თავიანთი ნიჭის გამომჟღავნებით კი არ იქცევენ ხელმძღვანელების ყურადღებას, არამედ ერთგული, პატიოსანი შრომით, სასცენო დისციპლინისადმი ზედმიწევნით მორჩილებით და მათზე დაკისრებულ სამუშაოსადმი კეთილსინდისიერი მოპყრობით.

პატუ ლოლაძე.

№69, 3 ოქტომბერი, 1936 წ.

პატეფონი, საათი

შრომის კოლმეურნეობის წევრმა **დათიკო ხომერიკმა,** რომლის ორწევრიან ოჯახს მიმდინარე წლის 25 სექტემბრისათვის გამომუშავებული ქონდა 637,8 შრომადღე, 28 სექტემბერს კოლმეურნეთა საერთო კრებაზე მიიღო ჯილდო –პატეფონი თავისი ფირფიტებით. მე-9 ბრიგადის ბრიგადირი **გრიგოლ ქვილორია** ამავე კრებაზე დაჯილდოებულ იქნა საათით კარგი მაჩვენებლისათვის გეგმის შესრულებისათვის ბრძოლაში.

დაჯილდოებულ იქნა აგრეთვე მთელი რიგი კოლმეურნეები როგორც ფულით, ისე სხვა საჩუქრებით.

გრიშა ქადიეშვილი

საჭიროა ხიდების სასწრაფოდ აღდგენა

მერიის სრ. საშუალო სკოლაში დადიან მოსწავლეები უმთავრესად მერიიდან და თხინვალიდან. სკოლას დასავლეთით ჩაუდის მდინარე ბოგილა, რომელიც ცუდი ტაროსის დროს უზომოდ დიდდება და უხეიროდ გადებული სეზონური ხიდები თან მიაქვს. მოწაფეებს ხშირად წყალში უხდებათ გავლა, რაც ზოგჯერ მოუხერხებელის წყალდიდობის გამო.

სკოლის სამხრეთით არის მდინარე მერია, რომელზედაც ხიდი უვარგისია. ამ მდგომარეობას სასწრაფოდ უნდა მიექცეს ყურადღება.

კოტე ქარცივაძე

მოსავლის აღება

ლიხაურის კოლმეურნეობა მოსავლის აღებისათვის სამზადისს უკვე თავის დროზე შეუდგა. 25 სექტემბრისათვის გაკეთებული იყო 3 ახალი და შეკეთებული 12 ურემი (ჩალდაყი), დაღობილია დამატებით 12 ცალი გოდორი; ბოსელის ეზოში მოგროვილია სოიას შესაზვინი მასალა, შემოღობილია კოლმეურნეობის კალოს დასაყარი ადგილი.

კოლმეურნეობსა და ცალკეულ ბრიგადებში გამოყოფილია დანაკარგებთან მებრძოლი სამეულები.

5 ოქტომბრისათვის ლიხაურის კოლმეურნეობა დაიწყებს მოსავლის აღებას.

დ. ლომჯარია

№70, 6 0ქტომბერი, 1936 წ.

აღმოვფხრათ დამახინჯებანი

ლაშეგაკირულისკოლმეურნეობის საერთო კრებამ განიხილა ამხ. ლ. ბერიას მოხსენება და მიიღო დადგენილება, რომელშიც გამოაშკარავებულია ლაშეგაკირულის კოლმეურნეობის მტკივნეული მხარეები. აი ფაქტები:

არტელის წესდება პირუტყვის ყოლის შესახებ არაა დაცული. **თეოფილე გობრონიძეს** აღმოაჩნდა 20 სული პირუტყვი პირად სარგებლობაში. კოლმეურნეობას არ უზრუნია კოლწევრებიდან ნორმაზე ზევით არსებული პირუტყვის ფერმისათვის ან უძროხო კოლმეურნეთათვის შესაძენად.

არ ექცევა ყურადღება კოლმეურნეობაში შემომსვლელთათვის საპაიო გამოსაღების შეტანას. საპაიო გადასახადი არ გადაუხდია: სამსონ ნაკაიძეს, იაკინთე ჩხარტიშვილს და სხვ.

შრომადღეები 5 დღის მაგივრად ორ კვირაში ერთხელ იწერება წიგნაკებში. კოლმეურნეების მიერ გამომუშავებული შრომადღეები არ იკვრება თვალსაჩინო ადგილას. კოლმეურნეობის მუშა პირუტყვს მთელი რიგი კოლმეურნეები თავიანთი სურვილის მიხედვით ამუშავებენ.

სარევიზიო კომისისიას მუშაობა სრულებით არ ჩანს. სანარდო სისტემის ნაცვლად ზოგ სამუშაოზე იყენებენ ნადურ სისტემას. ზოგ კოლმეურნეებს აღმოაჩნდა საკარმიდამო ფართობი ნორმაზე მეტი (დ. მენაბდე და სხვ.) ფერმაში არის აგრეთვე კერძო პირების პირუტყვიც.

კოლმეურნეობის წევრთა საერთო კრებამ დასახა ღონისძიებები არსებული ნაკლოვანებების გამოსასწორებლად.

ლ-ძე

№71, 10 ოქტომბერი, 1936 წ.

მშრომელთა წერილები

კოლმეურნემ 4 -შრომადღე მიითვისა

ზვანმოიდანახეს კოლმეურნემ – ფ. ფასიეშვილმა თავის შრომის წიგნაკში ჩაიხედა თუ არა, შენიშნა, რომ აკლდა 4 –შრომადღე. საქმეს ბოლომდე მიჰყვა და შემდეგი აღმოაჩინა: მის მიერ შესრულებულ სამუშაოზე –სიმინდის თოხნაზე, ჩაის პლანტაციის მეორე და მესამე თოხნაზე (3338 კვ.მ.) გამომუშავებული 4 შრომადღე მიუთვისებია №5 ბრიგადის ბრიგადირ **ნესტორ დარჩიას.**

ასეთი საქციელისათვის დამნაშავე სასტიკად უნდა დაისაჯოს.

ლ–ი

20 კაპეიკი

მერიიდან ქალაქ მახარაძემდის მგზავრობა ღირს –80 კაპ. ასევე ღირს ნატანებამდის. რკინის გზის მერიის სადგურის მორიგ მოლარეს **გიორგი მანჯგალაძეს** ხშირად „არ აქვს“ ხურდა –20 კაპიკი.

დღე და ღამე მატარებელი 6-ჯერ გამოივლის მერიაში, იყიდება ბილეთები, აღარ უბრუნდებათ მგზავრეს ხურდა..

სათანადო ორგანოებმა უნდა გამოარკვიონ: რამდენი მანეთი რჩება სადგურ მერიის „მოლარეს“ და რა სასჯელის ღირსია იგი.

№71, 10 ოქტომბერი, 1936 წ.

უზრუნველნი

მშვიდობაურის კოპერატივის ხელმძრვანელი მუშაკები რომ უდარდელი, უზრუნველი ხალხია, ამაზე შემდეგი ფაქტი ლაპარაკობს: მაისის თვიდან დამზადებულია მასალა კოოპერატივის ახალი შენობის ასაგებად, მაგრამ საქმის წამოწყებას საშველი არ დაადგა. ცუდ ტაროსში წვიმის წყალი ჩადის კოპერატივის შენობაშიც და ფურნეშიც.

მოსახლეობას 3-4 კილომეტრის მანძილზე უხდება პურის შეძენა.

№73, 18 ოქტომბერი, 1936 წ.

ექსკლუზივი

ნასაკირალის კრიმინალური ქრონიკა

მამუკა გოგუაძე

დასაწყისი იხ. გაზ. „ალიონი“ №№ 34, 35, 36 2020 წ. №№1-4 2021 წ

— გეცნობა თუ არა? — მკაცრად გაუმეორა პოლიციის უფროსმა.

— კი, ეს ირინაა.

— დარწმუნებული ხარ?

— ასი პროცენტით.

— რამ დაგარწმუნა?

— პირველ რიგში, ტანსაცმელმა. როცა მათთან მივდიოდი, ხშირად სწორედ ეს ეცვა. ამბობდა, ეს კაბა ყველაზე მეტად მიყვარსო. ამასთან, ძალიან ლამაზი ქალი იყო. შერჩ-ენილი აქვს ეს სილამაზე.

მადლობა გადაუხადეს ბადრაგს, რომელმაც ანთიძე ისევ ბათუმში წაიყვანა.

— ეს საქმის გახსნის ტოლფასია. ვიცით, ვინ არის მიცვალებული, სავარაუდო მკვლელიც. აწი ჩვენს პროფესიონალიზმზეა დამოკიდებული საქმის დროულად დამთავრება.

— ჰო. აბა, ვინ აჯობებს. — სიცილით მიუგო თამაზმა. ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს და დაშორდნენ.

მეორე დღესვე როსტოვის მთავ-არი პროკურორის სახელზე გაიგზავნა სასწრაფო დეპეშა: „აღმოჩენილია გვამი, რომელიც სავარაუდოდ ვერა ნიკოლოზის ასული პანფილოვასი უნდა იყოს. გთხოვთ, შეატყობინოთ ოჯახის ახლობლებს, რათა გადაასვ-ენონ“. ამასთან, საფოსტო ვაგონით გადაიგზავნა მიცვალებულის ფოტოები.

ზუსტად სამი დღის შემდეგ, როს-ტოვის პროკურატურიდან მოვიდა საპასუხო დეპეშა, რომ მიღებული სურათები შედარებულია საარქივო სურათებთან. ის ნამდვილად ვერა ნიკოლოზის ასული პანფილოვაა, რომელსაც, სამწუხაროდ, მშობლები აღარ ჰყავს. ის იყო დედისერთა და მისი გადმოსვენების ხარჯებს, უპა-ტრონობის გამო, ვერავინ გასწევს.

ფაქტობრივად ის უნდა დარძალულიყო აღსრულების ადგ-ილას.

ნაწილი II

რაც ამ ზამთარში მახარაძის რაი-ონში მოხდა, ასეთი რამ გურიის ისტორიას არ ახსოვს: დროის მოკლე მონაკვეთში ორი მკვლელობა და გაუჩინარებული ეჭვმიტანილები.

ცხოვრება თავისი გზით მიდიოდა. თოვლი უკვე ადნა, მზემც გამოანათა, მიწა შეთბა, ახალწამოწვერილი იები და ყოჩივარდები მოეფინა ეზოებს. ბუნება იღვიძებდა...

მილიციის უფროსი და პროკ-ურორი დათქმულ დროზე, საღამოს 7 საათისთვის შეხვდნენ ერთმანეთს პროკურორის კაბინეტში.

— პირდაპირ საქმეზე რომ გადავიდეთ, თამაზ, სოსოს რა ჩინი და განათლება აქვს? ჰკითხა პროკუ-რორმა.

— ლეიტენანტია, მილიციის კურსე-ბი აქვს გავლილი. ტყუილად არ მეკითხები, გატყობ. — ნაძალადევად გაიღიმა მილიციის უფროსმა.

— როსტოვში, მილიციის უმაღლეს სკოლაში რომ გავუშვათ სასწავლე-ბლად? ჩინიც მოემატება და ხელფა-სიც. რას იტყვი?

— თან მარტიკიანსაც მოძებნის, ხომ?

— მარტიკიანსაც და დანარჩენ ორსაც. ნიჭიერი ბიჭია.

— კარგი წინადადებაა, დღესვე დავ-ელაპარაკები.

— ვიცი, რომ ენა დაცული აქვს.

— მაგაზე არ იდარდო,

— აბა, როგორ და რანაირად უნდა დამოძღვრო, მაგას არც გაკადრებ. რაც შეიძლება, დავაჩქაროთ ეს საქმე, აპრილის ბოლოს იწყება სწავლა.

პროკურატურიდან დაბრუნებული მილიციის უფროსი კაბინეტში შევიდა, ჯერ მორიგეს, ხოლო შემდეგ მდივანს უთხრა, სოსო შემოვიდესო ჩემთან სასწრაფოდ. მაგიდაზე ახალ-დადებულ წერილებსა და დოკუ-მენტებს გადახედა, დახარისხება დაა-პირა და სოსოც შევიდა. ორსაათიანი საუბრის შემდეგ, პოლიციის უფროსი და სამძებრო გაყოფილების ოპერი ფეხზე წამოდგნენ და ერთმანეთს ხელი ჩამოართვეს.

— სოსო, შენი იმედი მაქვს. ვიცი, ხელცარიელი არ დაბრუნდები. ეს ამბავი კი მხოლოდ სამმა ვიცით...

აპრილის ბოლოს, ლეიტენანტი სოსო გულდედავა ბათუმი-მოსკოვის მატარებლით ნატანებიდან როსტოვში გაემგზავრა სასწავლებლად, 6 თვის ვადით. მატარებელი დილის 6 საათზე ჩავიდა როსტოვში. გეგმები წინასწარ შედგენილი ჰქონდა. ცოტა დაისვენა და პირდაპირ მატარებლის უფროსის სანახავად წავიდა. ადვილად მიაკვ-ლია, ორმოციოდე წლის კაცი თავის კუპეში წიგნს კითხულობდა.

— მილიციის ლეიტენანტი სოსო გულდედავა.

— ვლადიმერ იანიშევსკი.

— პოლონელი ხართ?

— არა, მხოლოდ გვარი დამრჩა პოლონური. ბრესტში დავიბადე და გავიზარდე. გისმენთ, ლეიტენანტო.

სოსომ ჯიბიდან სურათები ამ-ოიღო.

— დარწმუნებით გეტყვით, რომ ეს სამი ახალგაზრდა დაახლოებით იან-ვრის ბოლოს ამ მატარებლით მგზა-ვრობდა, სამივე მკვლელობაში ეჭვ-მიტანილია, მათზე გამოცხადებულია ძებნა. თქვენი გამცილებლების საშ-უალებით, უნდა დავადგინოთ, რომელ ქალაქში ჩავიდნენ ისინი. პრობლემა ისაა, იმ დღეს მატარებელს თქვენი შემადგენლობა ემსახურებოდა თუ სხვა რომელიმე თქვენი კოლეგისა.

— ისე ლაპარაკობთ, თითქოს დანამდვილებით იცით, რომ ის ეჭვმიტანილები ამ მატარებლით მგზავრობდნენ. — გაიღიმა ვლადიმერ-მა.

— ეს ნამდვილია. უბრალოდ, დღე ვერ დავადგინეთ, თორემ ამ მატ-არებლით რომ წამოვიდოდნენ, ამაზე ორი აზრი არ არსებობს. მოკლედ, გიტოვებთ ამ სურათებს, ხარისხი ძალიან დაბალია, არქივიდანაა ამოღებული და გამოგზავნილი. უნდა დაგვეხმაროთ. როდესაც უკან დაბ-რუნდებით, მე როსტოვში დაგხვდებით და პასუხსაც, იმედია, დადებითს მეტყვით. ეს კი ჩემგან, ჩემი გამოხდილი ჭაჭის არაყია, ეს კიდევ ჩურჩხელა, უხდება არაყს. — ძღვენი პატარა მაგიდაზე დადო.

შეხვედრაზე შეთანხმდნენ და ერთმანეთს დაემშვიდობენ.

იანიშევსკიმ ბოთლს თავი მოხადა და დაყნოსა:

— ოო, ამ ჭაჭით უფრო დიდი საქმის გაკეთებაც შეიძლება, — თქვა, დაისხა, გადაჰკრა და კუპიდან გამ-ცილებლების სანახავად გავიდა. წინ კიდევ ხუთი დღე ჰქონდა, მაგრამ სოსოს საქციელმა და ასმა გრამმა უმალ გადააწყვეტია საქმის დაწყება...

სოსო მოეწყო მილიციის უმაღ-ლესი სკოლის საერთო საცხოვრებ-ელში, საბუთები ჩააბარა და საქმეს შეუდგა. დილით ლექციებს ისმენდა, მერე ქალაქს ეცნობოდა. რამდენიმე დღის შემდეგ დაადგინა, რომ რკინიგზის სადგურის ჩიხში, სადაც სხვადასხვა ჯურის ხალხი ტრიალებ-და, შეიძლებოდა რაღაც საინტერესო ინფორმაციის მიღება. ლექციების შემდეგ გადაიცვა ძალიან უბრალო, თითქმის გაცვეთილი ტანსაცმელი და ჩიხის ზედამხედველთან მივიდა. სთხოვა, მეუღლე მყავს ცუდად, წამლის ფული არ მაქვს და მუშად მიმიღეო. უფროსმაც უყოყმანოდ მიიღო, უთხრა, რომ ძალიან უყვარდა ქართველები. შეთანხმდნენ, ყოველ-თვის დღის მეორე ნახევარში იმუშავ-ებდა, რადგან პირველ ნახევარში მეუღლეს უვლიდა მისი დის მოსვლამდე. ჩაერთო საქმეში სოსო. დილით სწავლა, საღამოთი კი ხან ცემენტს, ხან სხვა სამშენებლო მასალებს და ხანაც რა ტვირთს არ ეზიდებოდა სხვა მტვირთავებთან ერთად. გაუშინაურდა მუშებს, რომ-ლებსაც ეცოდებოდათ ავადმყოფი მეუღლის პატრონი. სოსოც იფერებ-და გაჭირვებული კაცის იმიჯს. ავან-სი რომ აიღო, არაყი და ძეხვი მიიტანა მუშებთან. არ მოელოდნენ ამას მუშები და ძალიან გაუხარდათ. სოსოც არ ჩქარობდა საქმეში შესვლას. მეორე დღეს უკვე ორი „პოლიტრა“ ჭაჭა მიიტანა, ლამის დახოცეს ერთმანეთი მუშებმა. შეაპარა მათ, საქართველოში სულ ახლახანს საიუველირო მაღაზია გაი-ტანეს ისე, რომ მძარცველებს კვალ-იც არ დაუტოვებიათო და კიდევ ჩამოასხა. დამთავრდა ეს ერთი ლიტრიც და სახლში წამოსვლას რომ აპირებდა, ერთმა მუშამ — სერგეიმ უთხრა — ეს რაა, ძმაო, აქ ისეთი საიუველირო წაიღეს ორი წლის წინათ, ყველაზე დიდი რომ იყო. ერთი ქალიც ერია მაგ საქმეში, დაითესა და ყველაფერი წაიღო, ვერ დაიჭირეს.

მოულოდნელი სიხარულისგან კინაღამ შეხტა სოსო, სერგეის კი უთხრა — ჩვენთან უფრო მეტი საქ-ონელია წაღებულიო. ეს ამბავი ვი-თომ არ აინტერესებდა. რადგან ირ-გვლივ მთვრალი მუშები იყვნენ, ამ ინფორმაციას დაყაბულდა. მეორე დღეს, ლექციების შემდეგ, ისევ „სამუშაოზე“ წავიდა და ისევ ერთი ლიტრი ჭაჭა წაიღო, სასმელი მახ-არაძიდან საკმაო რაოდენობით გამოა-ტანეს.

სამუშაოს შემდეგ შედგა მორიგი „პიანკა“ და ისევ ამაყად ალაპარაკდა სერგეი:

— თქვენთან თუ საიუველირო წაიღეს, დაჭერილები იქნებიან, აქ კი არავინაა აყვანილი.

— მაშინ თანამშრომლებს გაუქ-ურდავთ.

— ხუმრობ, ძმაო. ერთს მე ვიცნობ, ბოლო მანქანაზე ის იჯდა, მანამდე სამი გამოიცვალეს. წილი ერგებოდა. ვერ მიიღო. ათი დღის წინ დიდი „რაზბორკა“ იყო. ყველა თავისას ითხოვდა. ახეული „ტავარი“ გაქრა, ქალს გაატანეს. სხვათა შორის, თქვენსკენ წამოვიდა, საქართველოში, მაგრამ, როგორც მითხრეს, იქ არ მისულა, სადაც უნდა მისულიყო. შეიძლება უცხოეთში მოხია. პასუხს იმას სთხოვენ, ვინც ამ ქალს ენდო.

— რა ჩემი საქმე ეს არის, სერგეი, ან ის, რაც საქართველოში მოხდა? მაგრამ მე, როგორ გლეხმა კაცმა, ხომ შეიძლება, გკითხო?

— მკითხე, ძმაო,

— ვინ ვის თხოვს პასუხს?

— აი, ეს კი ნაღდად არ ვიცი, ჩემმა „ბრატუხამ“ იცის, გაგაცნობ ხვალ.

— არ მინდა, სერგეი. ჩემთვის მნიშვნელოვანი ჩემი ცოლის ჯანმ-რთელობაა და არა ვინ რა მოიპარა. ქურდული საქმე რა გლეხის გასარჩევია?

— სოსო, სანდო კაცი ჩანხარ, გულ-წრფელი, მაგრამ ეს როსტოვია და აქ ასე ცხოვრება არ გამოგადგება.

— ეეჰ, სერგეი. იქაც არაფერი მაქვს, ყველაფერი გავყიდე მეუღლის ავადმყოფობის გამო. ახლა ჩემი შრომით უნდა ვირჩინოთ თავი. ქურ-დებს ჩემთან ან ჩემისთანებთან რა უნდათ?

— ძმა ხარ, რაღაცას მოვიფიქრებ, რომ დაგეხმარო.

სოსომ თავი ჩაღუნა, ცრემლები გადმოცვივდა თვალებიდან. ტიროდა, ტიროდა იმისთვის, რომ სერგეიმ „ძმად“ მიიღო და ბუნაგის გასაღები აჩვენა. გრძნობდა, რომ გორგალის თავი დაიჭირა და ს უფრო მოეძალა სიხარულის ცრემლი.

სოსომ და სერგეიმ ადრე დატოვეს სამსახური, მდინარე დონზე გადადგ-მულ სასადილოში შევიდნენ. სოსოს ისევ ის გაცვეთილი შარვალი, შემოჭერილი ფეხსაცმელი და ღილა-გლეჯილი პერანგი ეცვა. მიუახ-ლოვდნენ მაგიდას, სადაც სამი ახალ-გაზრდა იჯდა, სერგეიმ მოურიდე-ბლად გამოსწია სკამი, სოსოსაც ანიშნა, დამჯდარიყო. ეს ის სერგეი არ იყო, რომელიც ჩიხში მტვირთავად მუშაობდა. უფრო მკაცრი, შემტევი და, ეტყობა, შემსრულებელიც გახლ-დათ. გონებაში წამიერად გაუელვა — გაიშიფრა? თავს კონტროლი გაუწია, დაჯდა, გლეხურად მიესალმა დამხ-დურებს და ერთი ლიტრი „ჭაჭა“ მაგიდაზე დადო.

— გარუნ, ხომ იცი ამ ბოზის ამბავი, როგორ წამოიღო ოქროულო-ბა? ოთხი იყო საქმეში. სველი საქმე იყო. „ახრანიკი“, წინააღმდეგობის გაწევის გამო, მოკლეს, მეორეს მუ-ხლი გაუხვრიტეს, დანარჩენი გაკოჭეს და 2 საათში გაასუფთავეს იქაურო-ბა. „ჩისტად“ ჩატარდა ყველაფერი. ითქვა, რომ მინიმუმ ერთი თვე ჩვეულებრივად იცხოვრებდნენ და წამოღებულ საქონელს არ გამოა-ჩენდნენ. ათ დღეში ორი სხვა საქ-მეზე ჩავარდა, წესით, არ უნდა ჩავარდნილიყვნენ, საეჭვო იყო მათი აყვანა. ციხეზე გავიგეთ, რომ ერთი ურალში და მეორე ციმბირში გაუშვეს „დასასვენებლად“. გენა „პოლტავსკიმ“, როგორც კი გამოვე-დი, დამიბარა და მომიყვა ყველაფერი. ის იყო საქმის შემსრულებელი. ნანობდა იმ ძაღლის დაბრედვას, მაგრამ სხვა გამოსავალი არ იყოო, თქვა. ვერ ხვდებოდა, რატომ აიყვანეს „პადდელნიკები“, ვერაზე ჰქონდა ეჭვი, მიუხედავად იმისა, რომ ის ამის საბაბს არ აძლევდა. ბოლოს მითხრა, შენ როცა წახვალ საქართველოში, ვერას, თავის დაქალთან ერთად, გამოვუშვებ, აცხოვრე ცოტა ხანი შენთან, მერე დაათვალიერებიე იქაუ-რობა და თუ შეგეძლება, აჭარიდან გააპარე თურქეთშიო. სამოძრაოდ ცოტა ოქროულობას დაგიტოვებ, ზაფხულისკენ ჩამოვალ და თუ ის გადასული იქნება, მაშინ მეც გამაძვრინე როგორმე, ამისთვის კი ეს ოქრო-ბრილიანტი ფულად აქციე, რაც ამ საქმისთვის დაგჭირდებაო. თუ შეამჩნევ, რომ საეჭვოდ იქცევა, იცი, როგორც უნდა მოიქცე, არ დაიხიო უკან და ჩამოდი აქეთო.

პოლტავსკის“ ინსტიტუტიდან ყვა-რებია ვერა, მაგრამ, გოგონას ქარაფშუტობის გამო, სულ ჩხუბობდ-ნენ. ეს ამბავი იმიტომ მოგიყევი, რომ ამ ჩვენს რწმუნებულს, დარწმუნებუ-ლი ვარ პასპორტი შეგნებულად აჩვენა და თავისი ვინაობაც მოთხოვნის გარეშე გაუმხილა. ის, ამის გამო, მას თვალთვალს დაუწყებს აქაური ნაბოზვრების მეშვეობით. შეიძლება, „შმონიც“ დაგვირტყან. დავიწვებით. დიდი ოდენობის ძვირფ-ასეულობაა, თუ ჩავვარდით, 15 წელი არ აგვცდება. მგონია, ტექნიკურად ჩაგვიშვა. ჟღენტი კიდევ არ გვასვენებს, ახლა საქმის სუნი იგრძნო, ძაღლი აბა, რისი ძაღლია თუ აღებულ გეშს არ მიყვა. თვითონ თუ არ მოვა, ვიღაც მისიანებს გამოგზავ-ნის და ამბავს გაიტანენ. ამ ზამთარში, ამხელა თოვლში ვინ ირისკებს აჭარაში ასვლას და მისთვის გზის გაკვლევას თურქ-თისაკენ, თან იქამდე მისვლა არ გინდა? გამორიცხულია. გარუნ, გული ცუდს მიგრძნობს. ვერამ ტექნიკურად ჩააგირავა საქმე. რომ აგვიყვანონ იტყვის, შიშის ქვეშ მამყოფებდნენ, იძულებულს მხდიდნენ სახლში ვმჯდარიყავი და თქვენამდე ვერ მოვ-სულიყავიო. როსტოვის ამბავსაც „გააპრავებს“, იარაღი მომადეს, ძალით შემათრიეს საქმეში, სულ მათი ზედამხედველობის ქვეშ ვიყავი, მომკლავდნენ, რომ მეთქვაო. ჩამივ-არდა მომენტი და გითხარითო. ვერ წარმოიდგენ, როგორ გაუხარდა რწმუნებულს, პასპორტი რომ ანახა. მოვასწარი, მზერა გავაპარე მისკენ, თვალები უელავდა, თან არ იმჩნევდა, ეგ ბოზი. გეუბნები, ხაფანგში ვართ, დიდი დრო არ დაჭირდებათ, რომ აგვიყვანონ, ამიტომ, სანამ ის თავის „ბამბანერკებს“ მოიტანს, რამე მოვიფიქროთ. ამისთვის ორი დღე გვაქვს. თუ რამეს თქმას აპირებ, მითხარი, თორემ მე გადაწყვეტილება მაშინ მივიღე, როცა რწმუნებულს პასპორტი აჩვენა.

(გაგრძელება იქნება)

სულთათანა

კვლავ უსაზღვრო ტკივილი...

გარდაიცვალა სკოლამდელი აღზრდის ღვაწლმოსილი მუშაკი, სიკეთითა და სათნოებით, ბავშ ვებზე უზომოდ შეყვარებული, უანგარო ნაღვაწით დამშვენებული, უდიდესი პასუხისმგებლობის მქონე პედაგოგი **სვეტლანა ხომერიკი.**

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მან მუშაობა დაიწყო ოზურგეთის რაიონის განათლების განუ\ყოფილებაში სკოლამდელი აღზრდის მეთოდისტის თანამდებობაზე. გარკვეული წლების შემდეგ იყო ქ. ოზურგეთის №5 საბავშვო ბაღის ხელმძღვანელი. ნაყოფიერი იყო მისი შრომა სკოლამდელი ასაკის ბავშვთა სწავლებისა და აღზრდის კეთილშობილ-ურ საქმეში.

იგი წლების მანძილზე უშურველად, პროფესიის უსაზღვრო სიყვარულით ასრულებდა დაკისრებულ მოვალეობას. იყო უღალატო მეგობარი, კოლეგა. მისი ლამაზი სული და ბავშვურად მოსიყვარულე გული ყველას და ყველაფერს იტევდა.

ჩვენში გაზაფხული შემოვიდა სვეტა, შენ კი მარადისობის ბინადარი გახდი.

გვენანები, გემშვიდობებით. შენი ხსოვნა მუდამ დარცება მეგობრების, კოლეგების და უახლოესი ადამიანების გულში.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს შენი სპეტაკი სული.

საქართველოს პედაგოგთა და მეცნიერთა თავისუფალი პროფკავშირის ოზურგეთის რაიონული ორგანიზაცია

მადლობა, სვეტა...

სვეტა ხომერიკი გარდაიცვალა. ღვაწლმოსილი ქალბატონი, რომელიც 40 წელი ხელმძღვანელობდა სკოლამდელი აღზრდის განვითარების საქმეს.

იგი ჩვენი ოჯახის ახლო ნათესავი და ჩვენზე უსაზღვროდ მზრუნველი გახლდათ. გვინდა ჩვენთვის ამ მძიმე წუთებში კიდევ ერთხელ მადლობა ვუთხრათ მას.

კლარა, ნინო, დავით და როინ ხომერიკები.

ძიმითის საჯარო სკოლა იუწყება რომ გარდაიცვალა ძიმითის საჯარო სკოლის ღვაწლმოსილი პედაგოგი

ლამარა თავდიშვილი

და თანაგრნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია თანაუგრძნობს ჩვენს კოლეგას ნინო კუკულაძეს დედის, ღვაწლმოსილი პედაგოგის **ლამარა თავდიშვილის** გარდაცვალების გამო.

გაზეთ „ალიონის“ რედაქცია იუწყება ღვაწლმოსილი პედაგგის, ქალბატონი

სვეტლანა ხომერიკის

გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

მეტალო პლასტმასის კარ-ფანჯრების დამზადება ყველაზე იაფად და ხარისხიანად ტელ: 598 00 53 53

სკანვორდი



პასუხები:

ქართველი: ალბერტ ფინსტერერი; ალბერტ ეინშტეინი — ალბერტ; ჯერარდ — ალბერტ; ალბერტ ეინშტეინი — ალბერ; ალბერ — ალბერ; ალბერ

გურიის რესპუბლიკა

რევოლუციური მოძრაობის გაძლიერება გურიაში

იბეჭდება ექსკლუზიური უფლებით

დასაწყისი იხ. „ალიონი,“№34-35, 1-5



სრულიად უმნიშვნელო იყო საქართველოს **სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლუციო პარტიის** გავლენა.სოციალისტ-ფედერალისტებმა სტრატეგიული შეცდომა დაუშვეს: უმიწობით, არამართლზომიერი გადასახადებით, სასოფლო და სამაზრო ადმინისტრაციის, პოლიციისა და ჟანდარმერიის თვითნებობითა და ძალმომრეობით გამწარებულ და გატანჯულ გლეხობას საქართველოს ავტონომიაზე დაუწყეს საუბარი, რასაც გლეხობა დაუფარავი პროტესტით შეხვდა. გურიის რევოლუციურ მოძრაობაში, გლეხობის გარდა, აქტიურად იყვნენ ჩაბმული მუშები, რომლებიც ბათუმის ქარხნებში მუშაობდნენ, ასევე, სოფლის ინტელიგენცია.

გურიაში სახალხო მოძრაობის სათავეში სოციალ-დემოკრატები იდგნენ. ისინი აძლევდნენ ტონს პოლიტიკურ ცხოვრებას, განსაზღვრავდნენ სამოქმედო სტრატეგიასა და ტაქტიკას. სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წყობა ასე შეიძლება წარმოვიდგინოთ:

1. **უჯრედი** (10 და მეტი წევრი);
2. ყოველი უჯრედი ირჩევდა **ათისთავს;**
3. ათისთავები ირჩევდნენ **ასისთავს;**
4. ასისთავები ირჩევდნენ **სოფლის წარმომადგენელს.**
5. ასისთავები და სოფლის წარმომადგენლები ირჩევდნენ **საზოგადოებრივ წარმომადგენელს.**
6. საზოგადოებრივი წარმომადგენლები ირჩევდნენ **რაიონის წარმომადგენელს.**

გურია იმხანად 25 სასოფლო საზოგადოებისაგან შედგებოდა. 25 სასოფლო საზოგადოება 7 რაიონად გაიყო. ყოველი რაიონი **რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის გურიის სოფლის მუშათა კომიტეტში** 1 წარმომადგენელს აგზავნიდა. რსდმპ გურიის კომიტეტი უდიდესი ავტორიტეტით სარგებლობდა. თავდაპირველადრსდმპ გურიის კომიტეტი ნიშნავდა ათისთავს, ასისთავს, ასევე – სოფლის, საზოგადოებრივ და რაიონის წარმომადგენლებს. მას შემდეგ, რაც გურიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მენშევიკებმა მოიპოვეს უმრავლესობა, დანიშვნები ყველა დონეზე არჩევნებით შეიცვალა.

მართალია, რსდმპ გურიის კომიტეტი მთელ პარტიულ მუშაობას ხელმძღვანელობდა, მაგრამ მნიშვნელოვან საკითხებზე იგი გადაწყვეტილებას ვერ იღებდა. მნიშვნ-ელოვანი გადაწყვეტილებები სოციალ-დემოკრატების კრებას გამოჰქონდა, რომელსაც რსდმპ გურიის კომიტეტის წევრების გარდა, რაიონის წარმომადგენლები, პროპაგანდისტები და აგიტატორები ესწრებოდნენ.

რსდმპ გურიის კომიტეტთან არსებობდა **„სამხედრო-ტექნიკური კომისია“,** რომელიც იარაღის შემოტანასა და საბრძოლო რაზმების გაწვრთნას ხელმძღვანელობდა.

* * *

2. **სახალხო თვითმმართველობა.** რევოლუციის დაწყებიდან მალევე, 1905 წლის გაზაფხულიდან, გურიის მოსახლეობაში ძალიან პოპულარული გახდა სახალხო თვითმმართველობის იდეა. ამ იდეამ კიდევ უფრო მეტი პოპულარობამას შემდეგ მოიპოვა, რაც, როგორც ცალკეული საზოგადოებების მმართველობებმა, ისე ოზურგეთის მაზრის მმართველობამ პრაქტიკულად არსებობა შეწყვიტა. თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა მიტინგები, კრებები, ყრილობები, რომლებზედაც იხილებოდა მმართველობის ძველი ფორმების ნაცვლად ახლის შემოღების საკითხი.

გურიის სახალხო თვითმმართველობის ფორმა ერთიანი და დადგენილი არ ყოფილა. უმნიშვნელოვანესი საკითხები წყდებოდა **მიტინგებზე, კრებებსა და დისკუსიებზე,** რომლებიც როგორც სოფლებში, ისე ოზურგეთში თითქმის ყოველდღიურად იმართებოდა და ერთგვარ სახალხო კრებას წარმოადგენდა. მიტინგებს, კრებებსა და დისკუსიებს რსდმპ გურიის კომიტეტი ნიშნავდა, რომელიც შვიდივე რაიონის წარმომადგენლის მეშვეობით ინფორმაციას აწვდიდა სოფლის წარმომადგენელს, რომელიც, თავის მხრივ, საქმის კურსში აყენებდა ათისთავებსა და ასისთავებს. დათქმულ დღეს სოფლების წარმომადგენლები იკრიბებოდნენ სადმე მოედანზე,დამსწრეთა რაოდენობა 15.000–20.000 კაცს აღწევდა. **სახალხო კრება აწესრიგებდა გურიის ცხოვრების ყველა მნიშვნელოვან ასპექტს, როგორებიც იყო: მიწის საკითხი, საძოვრებითა და ტყით სარგებლობა, სასამართლო, სასკოლო საქმე.**

1905 წლის ნოემბერში გადაწყდა ქალაქ ოზურგეთში გურიის თვითმმართველობის დაარსება. ქალაქში მდგარი ჯარის მცირერიცხოვანი გარნიზონი და პოლიცია ამ პროცესს წინ ვერ აღუდგა. 1905 წლის ნოემბრის ბოლოს გურიის 25 სასოფლო საზოგადოების წარმომადგენელი ოზურგეთში შეიკრიბა და ქალაქის ცენტრში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად ყრილობა გამართა. ამ ყრილობას **„ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲐᲠᲚᲐᲛᲔᲜᲢᲘ“**ეწოდა. ჩატარდა პარლამენტის თავმჯდომარის არჩევნები. ხმის უფლებით სარგებლობდა ყველა სრულწლოვანი სქესის, ეროვნებისა და აღმსა-რებლობის მიუხედავად. თავმჯდომარის არჩევნებში ცნობილმა სოციალ-დემოკრატმა **ბენიამინ (ბენია) ჩხიკვიშვილმა** (1879-1924) გაიმარჯვა, რომელმაც 970 ხმიდან 958 ხმა მიიღო. ხალხი **ბენია ჩხიკვიშვილს „ᲒᲣᲠᲘᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ“** უწოდებდა. ყრილობის დადგენილებით, ქალაქ ოზურგეთის გამგეობა გადააყენეს. ახალ გამგეობას გადაეცა ყრილობის მიერ შემუშავებ-ული რეკომენდაციები და მითით-ებები, რომლებიც ეხებოდა საქალაქო ცხოვრების სხვადასხვა მხარეს. მრავალათასიანი ყრილობა ექსცესების გარეშე, მშვიდობიანად დაიშალა.

მიწის საკითხი. რევოლუციის დაწყებიდან მალევე მემამულეებმა (თავადაზნაურობამ) პრაქტიკულად მთელი მიწა დაკარგეს. ქუთაისის გუბერნიისა და ოზურგეთის მაზრის ადმინისტრაცია უმოქმედოდ იყო, უმოქმედოდ იდგა პოლიცია და ჯარიც. მიწათსარგებლობის ფორმების განსაზღვრისათვის ყველა სასოფლო საზოგადოებაში ირჩევდნენ კომისიას, რომელიც გლეხებს შორის ანაწილებდა მემამულეთათვის ჩამორთმეულ მიწას. კომისია როგორც გლეხის, ისე მემამულისათვის მიწის ერთ ნორმას აწესებდა. მოსავალზე დაწესებული საშემოსავლო გადასახადი ყოველი გლეხის კომლზე ცალ-ცალკე დგინდებოდა და საშუალოდ 1 ქცევაზე 2-5 მანეთს უდრიდა. ზოგიერთ სასოფლო საზოგადოებაში საშემოსავლო გადასახადს ნატურით იხდიდნენ. გლეხთა ის კომლები, რომელთაც იმდენად მცირე მოსავალი მოიწიეს, რომ ოჯახის გამოსაკვებად თუ ეყოფოდათ, საერთოდ თავისუფლდებოდნენ საშემოსავლო გადასახადიდან. თუ სოფლებს შორის მიწით, საძოვრით ან ტყით სარგებლობის გამო დავა წარმოიშობოდა, საკითხი ორივე სოფლის მცხოვრებთა საერთო კრებაზე წყდებოდა.

საძოვრითა და ტყით სარგებლობის საკითხი.გურიაში საძოვრები სახელმწიფოსა და მემამულეთა საკუთრებაში იყო. გლეხობა საძოვრებითა და ტყით სარგებლობისათვის დიდ გადასახადს იხდიდა. საძოვრითა და ტყით სარგებლობის არსებული წესის რეფორმა პირველად სოფელ ბახვის სასოფლო საზოგადოებამ დაიწყო და შემდეგ მთელ გურიაში გავრცელდა. რეფორმის ძალით, საძოვრით სარგებლობის შემდეგი ნორმა დაწესდა: 1 სულ წვრილფეხა პირუტყვზე – არაუმეტეს 10 კაპიკისა, 1 სულ მსხვილფეხა პირუტყვზე – არაუმეტეს 15 კაპიკისა. ცხადია, მემამულეები იძულებული გახდნენ, გადასახადის ამ ნორმას დასთანხმებოდნენ. საძოვრით სარგებლობაზე კონტროლის დაწესების მიზნით შეიქმნა **განსაკუთრებული კომისია.**

საშემოსავლო საგადასახადო სისტემის რეფორმა შეეხო მეცხოველეობის მთავარი პროდუქტით – **ყველით** – ვაჭრობას. გურიის საძოვრებს, გარდა გურული გლეხებისა, იყენებდნენ მეგრელი გლეხებიც, რომლებიც ზაფხულში ჯოგს მთაში აძოვებდნენ, ზამთარში –ბარში. გურული და მეგრელი გლეხობისაგან ყველს გურული შემსყიდველები იძენდნენ, რომლებიც შესყიდულ პროდუქტს შემდეგ ძალზე ძვირად ყიდდნენ. საგადასახადო რეფორმის ძალით, შემსყიდველებს გლეხის 1 კომლისაგან მხოლოდ 5 მანეთის საერთო ღირებულების ყველი შეეძლო შეეძინა. იგივე წესი გავრცელდა მეგრელ მეცხოველეებზეც. შემდეგ დაწესდა ფასები ყველზე: 1 ფუნტი ძროხის ყველი არ შეიძლებოდა 10 კაპიკზე მეტად დაეფასებინათ, 1 ფუნტი თხის ყველი 8 კაპიკად ფასობდა. ყველით ვაჭრობაზე კონტროლს ახორციელებდა იგივე კომისია, რომელიც აკონტროლებდა საძოვრით სარგებლობას.

მემამულეთა და სახელმწიფოს კუთვნილ ტყეებზე კონტროლს წინათ თვითონ მემამულეები და ხელისუფლების მიერ დანიშნული მოხელეები ანხორციელებდნენ. რევოლუციის დაწყებიდან მალევე გლეხებმა შექმნეს არჩევითი ორგანო – **სატყეო კომისია.** ეს კომისია განაგებდა ტყით სარგებლობის წესებს.

სასამართლო. დაიწყო თუ არა რევოლუცია, ხალხმა ბოიკოტი გამოუცხადა სასამართლოს და თვითონ შექმნა სასამართლოს ახალი სისტემა. ყოველ კვირა დღეს სოფლის წარმომადგენელი მოსახლეობას დათქმულ ადგილას იწვევდა. ირჩევდნენ თავმჯდომარეს, რომელიც შეკრებილთ მოუწოდებდა, თავიანთი საჩივრები და პრეტენზიები წარმოედგინათ. სიტყვას მორიგეობით ამბობდნენ მოდავეები. თუ ისინი შეთანხმდებოდნენ, სადაო საქმეც დასრულებულად მიიჩნეოდა. შეუთანხმებლობის შემთხვევაში ინიშნებოდა **სამედიატორო სასამართლო,** რომელსაც სოფლის კრება ირჩევდა. სამედიატორო სასამართლოს განაჩენის გამოსატანად 20 დღე ეძლეოდა. თუ სამედიატორო სასამართლო თავის განაჩენს სოფლის კრებას მოახსენებდა და თუ მოდავე მხარეები ამ განაჩენს ცნობდნენ, სადაო საკითხიც ამოწურულად ითვლებოდა. წინააღმდეგ შემთხვევაში, განაჩენი თვითონ სასოფლო კრებას გამოჰქონდა. შემდგომ ინსტანციას რაიონის კრება წარმოადგენდა, რომელშიც რამდენიმე სოფლის მოსახლეობა შედიოდა. საჭიროების შემთხვევაში, რაიონის **საგანგებო კრებას** იწვევდნენ, რომელსაც გამოჰქონდა საბოლოო განაჩენი.

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის თაობაზე განაჩენის გამოსატანად 7 რაიონიდან შეიძლებოდა 3-4 რაიონის სასოფლო საზოგადოების კრება მოეწვიათ. ასეთი კრებები მოიწვიეს, მაგალითად, **ჯუმათისა** და **ხიდისთავის** რაიონების სასოფლო საზოგადოებების მოსახლეობის მონაწილეობით. პირველ შემთხვევაში იხილებოდა ჯუმათის მონასტრის გაძარცვის საკითხი, საიდანაც რამდენიმე ათასი მანეთის ღირებულების განძი გაიტაცეს. ჯუმათის რაიონის სასოფლო საზოგადოებების საერთო კრებამ სასწრაფოდ შექმნა **საგამომძიებლო კომისია.**კომისიამ მაშინვე მთელ გურიას ამცნო მომხდარის შესახებ. რამდენიმე კვირაში მძარცველები დააკავეს. განაჩენის გამოცხადების დღეს ჯუმათის რაიონის სასოფლო საზოგადოებების საერთო კრებაზე 6.000 კაცზე მეტი შეიკრიბა. განაჩენი საერთო კრებას უნდა დაემტკიცებინა. საერთო კრების უმრავლესობამ მძარცველების სიკვდი-ლით დასჯა მოითხოვა. პროპაგანდისტებმა და აგიტატორებმა დიდი შრომა გასწიეს, რათა ხალხისათვის დაემტკიცებინათ: სიკვდილით დასჯა მეტისმეტი სიმკაცრის გამოვლინება იქნებოდა, ხოლო თავისუფალი გურიის ხალხს არ შეეძლო ჯალათის როლი შეესრულებინა. საბოლოოდ მძარცველებს ორი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, რომელიც მონასტერში უნდა მოეხადათ. ამავე კრებაზე დაისვა ნაძარცვი ქონების საკითხი. კრების უმრავლესობამ მოითხოვა, რომ ჯუმათის მონასტერს ქონება ჩამორთმეოდა და რსდმპ გურიის კომიტეტს გადასცემოდა, რომელსაც ეს უკანასკნელი იარაღის შესაძენად გამოიყენებდა. გურიის კომიტეტმა უარი განაცხადა მონასტრის ქონების მიღებაზე და თავის მხრივ მოითხოვა, მონასტრის ქონება სპაციალურად შექმნილ კომისიას განეკარგა.

სასკოლო საქმე. გურიაში სასკოლო საქმე საქართველოს სხვა კუთხეებთან შედარებით,შეიძლება ითქვას, რომ რევოლუციის დაწყებამდე კარგად იყო ორგანიზებული. მოსახლეობის აბსოლუტურმა უმრავლესობამ(95%) წერა-კითხვა იცოდა. ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრა წერა-კითხვის მცოდნეთა რაოდენობის მხრივ პირველ ადგილზე იყო კავკასიაში და ბევრად უსწრებდა ცენტრალური რუსეთის უმეტეს მაზრებს. ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო სკოლები ვერ აკმაყოფილებდნენ გურულების მოთხოვნებს. კავკასიის სასწავლო ოლქის მიერ გურიის სკოლებში გაგზავნილი მასწავლებლების უმრავლესობა დაკისრებულ მოვალეობას თავს ვერ ართმევდა და თა-იანთ მოვალეობად უპირველეს ყოვლისა, რუსიფიკატორული პოლიტიკის გატარებას მიიჩნევდნენ.

დაიწყო თუ არარევოლუცია, გურულებმა არსებული სასკოლო სისტემის რეფორმა მოითხოვეს. ეს საკითხი სასოფლო საზოგადოებების კრებებზე იხილებოდა. კრებები ირჩევდნენ **სასკოლო კომიტეტებს**, რომლებმაც ახალი სისტემის დანერგვა დაიწყეს. პირველ რიგში, შეიცვალა პედაგოგთა შემადგენლობა. სკოლაში მასწავლებელს მხოლოდ **„ქუთაისის გუბერნიის მასწავლებელთა კავშირის"** რეკომენდაციით იღებდნენ. სკოლები მუშაობდნენ იმ პროგრამებით, რომლებიც თბილისში გამართულმა პედაგოგთა ყრილობამ დაამტკიცა. სასკოლო კომიტეტებმა დიდი ყურადღება დაუთმეს სკოლების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებას და პედაგოგთა ხელფასებით უზრუნველყოფას.

ᲜᲐᲡᲐᲙᲘᲠᲐᲚᲘᲡ ᲑᲠᲫᲝᲚᲐ

1905 წლის შემოდგომისათვის გურიაში გლეხთა რაზმებისაბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ. რეგიონში შეტანილი იყო დიდი ოდენობით შაშხანები, ბერდანის ტიპის თოფები, რევოლვერები, ბომბები. ყოველივე ეს კარგად უწყოდა ოზურგეთის მაზრის უფროსმა **ი. ლაზარენკომ.** მიუხედავად ამისა, ვერც ოზურგეთში მდგარი რუსეთის ჯარი და ვერც პოლიცია გლეხთა შეიარაღებული რაზმების შექმნას ხელს ვერ უშლიდა. ვითარება კიდევ უფრო უმართავი გახდა მას შემდეგ, რაც 1905 წლის ივლისის ბოლოს **ოზურგეთში** მყოფმა რიონის რაზმმა(მეთაურიგენერალ-მაიორ მაქსუდ ალიხანოვ-ავარსკი) ოზურგეთი დატოვა, ხოლო 17 აგვისტოს **ნატანებიდანაც** დაიწყო გასვლა. რათა მათ რადიკალური მოქმედებებისაგან თავი შეეკავებინათ.

ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲣᲠᲣᲚᲘ

საქართველოს ახალი ისტორია, 1801-1918 წ. გვ.344-347

კაზაკების იმპერატრიცა

და მაინც ვინ იყო ფრიდა მგალობლიშვილი

მარცხნიდან მარჯვნივ: ვასილ ჭყონია, დავით ჭყონია, ფრიდა მგალობლიშვილი, დიმიტრი მგალობლიშვილი, ზოსიმე პატარაია.

129 წლის წინათ საზღვარგარეთ გავიდა გურული მოჯირითეების პირველი ჯგუფი. მას შემდეგ 30 წლის განმავლობაში, 150-ზე მეტი გურული მამაკაცი და მანდილოსანი (10-12- კაციანი ჯგუფები) 105-ჯერ იყვნენ ევროპისა და ამერიკის შეერთებული შტატების ქალაქებში. მათ მრავალი ქება და ჯილდო დაიმსახურეს, მაგრამ მთელი ამ ხნის მანძილზე აწვალებდათ მათთვის მიუღებელი წოდება: ,,კაზაკები", ,,რუსეთის კაზაკები", რასაც ძალიან მტკივნეულად განიცდიდნენ.

პარიზში ყოფნისას თედო სახოკიას შესჩიოდნენ :,,*სიკეთილი რავა არ არის, ყველას კაზაკებს გვეძახიან და ჩვენ ისიც ვერ გავიგებინეთ, რომ საქართველოს შვილები ვართ".*

ამის შესახებ გაზეთი ცნობის ფურცელი იუწყებოდა: ,,*იმ ხანად საფრანგეთში მყოფმა გურულებმა დიდი აურზაური გამოიწვიეს , იარაღ ასხმულები ნამდვილ მეომრებს მოაგონებდა პარიზ-ლებს, სადაც კი გაივლიდნენ ქუჩაში, ტევა არ იყო, ქართველები ყველას კაზაკები ეგონათ, აქეთ-იქიდან ეძახოდნენ ,,ვივ-კოზაკ"*("ცნობის ფურცელი" 11, 1903 წ. 13 აპრილი).

საზღვარგარეთულ პრესაში უახლოეს დრომდე გრძელდებოდა ამ სახელით ქართული მოჯირითეების მოხსენიება.

თუ ვინ იყვნენ გურული მოჯირითეები, ამ საკითხზე აგერ,უკვე 18 წელია ფუნდამენტურ კვლევას ეწევა ქართული წარმომავლობის ამერიკელი რიჩარდ ალექსის ჯორჯიანი-ბოგოხია.ამ საკითხს მეტად აღარ შევეხებიჩემი მიზანია მკითხველს გავაცნო იდუმალებით მოცული ერთი მოჯირითე მანდილოსნის ისტორია,როგორც უკვე აღვნიშნე ,ევროპასა და ამერიკაში გურულ მამაკაცებთან ერთად წარმატებულად ჯირითობდნენ და სასწაულებს ახდენდნენ გურული მანდილოსნებიც: დები მარო და ბარბარე ზაქარეიშვილები,ქრისტინე ნოდია ცინცაძისა და ფრიდა მგალობლიშვილი.

მარო ზაქარეიშვილი სამგვერდ ჩაკერებული ცხენის ჭენებით და მათზე ჯირითით გამორჩეოდა. დიდი ინტერესს იწვევდა ,,ცალი ფეხის ყბარდული", ,,მაკრატელა", ,,მხარყირა" და ,,დგომი"მონაწილეობდა ,,დიდ-მრულაში".

თავის დას ტოლს არ უდებდა ბარბარე ზაქარეიშვილი, რომელმაც თავისი ბედი დაუკავშირა თანგუნდელ ქრისტოფორე ინანაძეს, ცოლ-ქმარი ამერიკაში დარჩა საცხოვრებლად, ბარბარეს შემდგომ წლებშიც არ შეუწყვეტია ცირკში მუშაობა.

ცხოველ ინტერესს იწვევდა **ქრისტინე ცინცაძე**.. იგი გამორჩეოდა მხედრული გაწაფულობით და გაბედულებით,ერთ-ერთი ჯირითის დროს მას ცხენი წაექცა, ქრისტინემ ყბა დაჰკრა მიწას და კბილები ჩაემტვრა,მ აგრამ უმალ წამოიჭრა ,მოეკლო ცხენს და განაგრძო ჭენება, ვაჟკაცური საქციელისთვის იგი ძვირფასი სამოსით,ოქროს საათით და ბეჭდით დაჯილდოვეს.

ყოველივეარ მოლოდინს აჭარბებდა **ფრიდა მგალობლიშვილის** პიროვნება. ამერიკული პრესის მიხედვით,იგი ყველაზე აღმატებული მანდილოსანია ,რომელიც მხედრული ოსტატობით და განსწავლულობით გამორჩეოდა. ამერიკული პრესა მას ,,კაზაკების პრინცესას", ,,კაზაკების იმპერატრიცას" უწოდებდა.

ფრიდას მიერ გაზეთისთვის მიცემულმა ინტერვიუებმა ჟურნალისტებს საშუალება მისცეს,აღეწერათ ფრიდა და მისი მარშრუტი:

,,მისი განათლება გამოგნებელია, ფრანგული, გერმანული, ლათინური და ინგლისური, ამას ემატება დახვეწილი გემოვნებამუსიკა, ხატვა და სხვა მაღალი ფასეულობები მისთვის არ არის უცხო"(,,პიტსბურგ პოსტი" სამშაბათი ,2 მაისი, 1893 წელი).

ეს ინტერვიუები წარმოდგენას გვაძლევს არა მარტო მისი, არამედ საერთოდ გურული მოჯირითეების ცხოვრებაზე. ფრიდამ ჟურნალისტებს განუცხადა, რომ ის იყო 22 წლის და ცხოვრობდა მთებს შუა სოფელში, ოზურგეთში; რომ ბავშვობიდან ცხენი თავისი მეგობარი იყო და ჯირითი - გართობა. ფრიდა მამის შესახებ არ საუბრობდა.მაგრამ ბავშვობას ასე იგონებდა: ხელსაჭეს, პიანინოს და მანდოლინას სხვადასხვა მასწავლებლები ასწავლიდნენ. 12 წლის ასაკში მან დატოვა მოსაწყენი პროვინცია და შავი ზღვის გავლით გაეგზავნა პარიზში განათლების მისაღებად.

ერთ-ერთი ჟურნალისტი დაინტერესდა ფრიდას გარდერობით, ,,პრინცესა ფრიდა ატარებს მუხლებამდე კაბას ,მხოლოდ ის არის ქალი ,,კაზაკებს" შორის. ეს არის მისი ეროვნული ტანსაცმელი და ისე უხდება, ყველა ქალს შეშურდება,მას აქვს თავისუფალი მოძრაობა, გრაციოზულობა, რომელიც ყველა ქალს უნდა,რომ ჰქონდეს, პრინცესას აკვია მაღალ-ქუსლიანი ჩექმები, მოკლე ქვედა ბოლოზე"(,,პიტსბურგ პოსტი", სამშაბათი, 2 მაისი, 1893 წელი).

1893 წლის 24 აპრილის დილის ,, ვაშინგტონ პოსტი" იუწყებოდა: ,,*იმ არაჩვეულებრივ განათებულ კარავში ყველაზე ამალლებული კაზაკები იყვნენ, რომლებიც თავანთი ლიდერის დიმიტრის ხელმძღვანელობით ჩამოვიდნენ ამერიკაში ,პრინცს თან ახლავს თავისი ცოლი პრინცესა დიმიტრი(ფრიდა),რომელიც ერთადერთია კაზაკთა შორის ,ვინც ინგლისურად ლაპარაკობს. მან განათლება მიიღო პარიზში და საუბრობს ფრანგულ-კავკასიური აქცენტით."*

დიმიტრის და ფრიდას ამერიკული პრესა მოიხსენიებს როგორც ცოლ ქმარს ,მაგრამ ეს ასე არ იყო,მათი ურთიერთობა სულ სხვაგვარი გახლდათ. ალბათ, დიმიტრი ითვალისწინებდა ფრიდას უფროსი ძმის მდგომარეობას და უსაფრთხოების მიზნით, ქმრის როლს თამაშობდა, რასაც ადასტურებს ერთი ფაქტი: ამერიკული პრესიდან ცნობილია,რომ ერთმა ზანგმა შეურაცყოფა მიაყენა ფრიდას, მას უმალ მიეჭრა პრინცი დიმიტრი და მიწაზე დაბერტყა იგი.

დიმიტრი და ფრიდა ,როგორც სავარაუდოა ერთმანეთს შეხვდნენ საფრანგეთში და იქედან წავიდნენ ამერიკაში.

ფრიდა მგალობლიშვილი პირველად 1893 წელს ჩასულა ამერიკაში.1894 წელს ჯირითობდა ,, ბარნუ და ბეილის ,, ცირკში. იგი გამოდიოდა დიმირიტრი მგალობლიშვილთან ,ვასილ ჭყონიასთან და ზოსიმე პატარაიასთან ერთად.

რეჟისორი და მკლევარი ირაკლი მახარაძე თავის წიგნში ,,უაილდ უესთის მხედრები" წერს: ,,*დღემდე ფრიდას შესახებ ძალიან ცოტა რამ არის ცნობილი.იგი დაბადა 1871 წლის 7 აგვისტოს, ოზურგეთში ან მის შემოგარენში,როგორც გაირკვა მგალობლიშვილი მისი ნამდვილი გვარი არ არის და იგი არ ენთესავება დიმიტრი მგალობლიშვილს, თუმცა ხშირად პროგრამებში ისინი, როგორც ცოლ-ქმარი ისე იყვნენ მოხსენიებული"*(ირაკლი მახა-რაძე ,,უაილდ უესთის მხედრები", თბ. 2000 წ.გვ.35).

1894 წლის 1 აპრილს ,,მორნინგ ჯორნალში" დაიბეჭდა ინტერვიუ ფრიდა მგალობლიშვილთან, სადაც ჟურნალისტი მას ნამდვილ ლედის უწოდებს: ,,*შეიძლება ითქვას,რომ ჯირითი ჩემთან ერთად დაიბადა ,რაც თავი მახსოვს,ცხენის ზურგი იყო ჩემი სამყარო,როგორც აკვანი,სპეციალურად ცხენზე ჯდომა არ მისწავლია და არც არავის უსწავლია. ყველა ტრიუკი ,რასაც წარმოდგენის დროს ვასრულებ,ამას ვაკეთებდი გასართობად და სხვადასხვა შეჯიბრებებში ,რომელიც ჩემს სამშობლოში ტარდებოდაჩვენ, კაზაკ ქალები, მიუხედავად იმისა,რო ხმის უფლება არ გვაქვს და არ ვმოღვაწეობთ ეურისპრუდენციისა და მედიცინაში,უფრო თავისუფალი ვართ,ვიდრე თქვენი ამერიკელი ქალბატონები. ჩემს ქვეყანაში კაცებსაც და ქალებსაც თითქმის ერთნაირი წესჩვეულებანი გვაქვს.ქალები თითქმის ისე ეწევიან სასამოვნო რბილ თამბაქოს, რომელიც ჩვენ მოგვყავს ან თურქეთიდან ჩამოგვაქვს. ისინი ასევე თავისუფლად სვამენ მშვენიერ კავკასიურ ღვინოს.ჩვენ ვართ ღვინის მონმბრძოლი და არა არყის მსმელები, რუსებისაგან განსხვავებით, ჩვენ ძალზე ფხიზელი ხალხი ვართ.ლოთობა თითქმის უცნობია ჩვენში. ალბათ ჩვენებური კლიმატია ,,დამნაშავე" ამ ჰარმონიისა, რაც ჩვენში სუფევს, სუფთა ჰაერზე ცხოვრება საწინდარია ჩვენი ჯანმრთელობისა. ჩვენ მართლმადიდებლები ვართ და ისევე, როგორც კათოლიკეებსგვაქვს ბევრი წმინდა დღესასწაული დაუშვათ თქვენ ჩახვედით კავკასიაში, იქ არ დაგჭირდებათ სარეკომენდაციო წერილები, თქვენი სტუმრობით მოხარული იქნებიან ყველაზე საუკეთესო ოჯახები, იქ იცხოვრებთიმდენ ხანს, რამდენიც მოგესურვებათ და ყველაფერი,რაც კი სახლშია, თქვენს განკარგულებაში იქნება. ჩვენ უმეტესად ვცხოვრობთ სოფლის მეურნეობის ხარჯზე და ნადირობით. მახსოვს ჩემს ბავშვობაში გარეულ ნადირს პირდაპირ ჩემი საწოლი ოთახის ფანჯრიდან ესროდნენ... ჩვენი მთავარი სასმელი ღვინის შემდეგ არის ჩაი, რომელიც ჩვენში მოდებულია და ძალზე კარგი ხარისხისაა. ჩვენი ხალხი ძალზე კარგი მეჯამელია,მაგრამ , სიმსუქნე იშვიათია ჩვენში, კაცები,თუმცა გამხდრები,უფრო ძლიერები არიან, ვინც მინახავს".

პრესა იუწყებოდა, რომ ,,პრინცესა ,, ფრიდა ჯირითობდა ხან ერთი და ხან ოთხი ცხენითვინც კი ნახა მისი ეტლებით შეჯიბრი ,,მედისონ სკვერ გარდენში",ან მისი მოხდენილი და საოცარი ჯირითი გაშმაგებულ ცხენზე, ის მაშინვე მიხვდება, რომ ფრიდა დაბადებულია, რათა მონუსხოს მთელი მსოფლიო განსაცვიფრებული ცხენოსნობით.

და მაინც ვინ იყო,,,კაზაკების პრინცესად",,,კაზაკების იმპერატრიცად" წოდებული ფრიდა მგალობლიშვილი? როგორც გამორკვა,ფრიდა დაბადებული უნდა იყოს ოზურგეთში და მისი ნამდვილი გვარია დოლიძე.

2001 წლის 19 მაისს, დიმიტრი მგალობლიშვილის ქალიშვილმა 94 წლის ცუცუნა მგალობლიშვილმა (გარდაიცვალა 2003 წელს) მიამბო: ფრიდას დედა მაკა, ჭყონიას ქალი იყო ლანჩხუთიდან, გათხოვილი იყო ოზურგეთში სიმონ დოლიძეზ,მათ ჰყავდათ ხუთი შვილი ,ორი ვაჟი-ილიკო,გიორგი და სამი ქალიშვილი: საშა, ლადი და ფრიდა. მაკას ქმარი ადრე გარდაეცვალა, დიმიტრის მამა გიორგი მგალობლიშვილიც ქვრივი ყოფილა.მას მხოლოდ ერთ შვილი ჰყოლია.

მაკა ძალიან ლამაზი ქალი ყოფილა, მისი ქმარი სიმონი - გამორჩეული ვაჟკაცი. მათი სახლი ოზურგეთის განაპირას იდგა (ახლანდელი იაკობ შემოქმედელის ქუჩის ბოლოს, სოფელ მელექედურის საზღვართან). იქვე ახლოს სახლობდნენ ვაჟკაცები, როგორც ეტყობა მგალობლიშვილებს ახლო ურთიერთობა ჰქონდათ ვაჟკაცებთან, სადაც შეხვედრიან ერთმანეთს მაკა და გიორგიგიორგის მოუტაცნია მაკა და რამდენიმე დღეს დამალული ჰყოლია.

სამოლოოდ მაკას ვაჟები ოზურგეთში დაუტოვებია, სამი ქალიშვილი კი გიორგისთან წაუყვანია აღსაზრდელად ონჭიქეთში, ჩოხატაურში.

აზნაური გიორგი მგალობლიშვილი (პრინცი დიმიტრის მამა) წარმოსადეგი, ფიზიკურად ძლიერი პიროვნება ყოფილა, ფლობდა მიწის ნაკვეთებს ონჭიქედში, იყო ცხენის დიდი მოყვარული, გამორჩეოდა, როგორც კარგი მხედარი, ცხენზე შემჯდარი ავიდოდა და თავდაღმართს ისე დაეშვებოდა ერკეთის ეკლესიის კიბეზე (ეკლესია მაღალზე დგას). რომ მაყურებელი გაოცებული შესცქეროდა, მიამბო ერკეთის საშუალო სკოლის ისტორიის ყოფილმა მასწავლებელმა ბატონმა **რევაზ კალანდაძემ,** რომელმაც დაადასტურა აგრეთვე ის ვერსიაც,თუ,როგორ შეიძლებოდა მოხვედრილიყო საფრანგეთში ფრიდა: ,,დიმიტრის ბიძა ილარიონ მგალობლიშვილი მღვდელი იყო.იგი გაყოფილი იყო ძმის-გიორგის ოჯახიდან და ცხოვრობდა ჩოხატაურში, ბუკისციხისაენ მიმავალ გზაზე(მას ჰქონდა წისქვილი,ახლა ამ ადგილს ილარიონის ნაწისქვილარს ეძახიან). მისი შვილები სწავლობდნენ და დადიოდნენ საფრანგეთში.როგორც ეტყობა, ფრიდა მამინაცვალის ძმიშვილებს წაუყვანია საფრანგეთში, იქ მონასტერში მუბარებიათ და რადგან მგალობლიშვილის ოჯახში იზრდებოდა, გიორგი მგალობლიშვილმა მისცა მას გვარი"(ბატონი რეზო კალანდაძე გარდაიცვალა 2007 წელს).



დიმიტრი მგალობლიშვილი;

საინტერესო ისიც, რომ ამერიკაში ყოფნისას ის ჯირითობდა დიმიტრისთან და ლანჩხუთელ ვასილ და დავით ჭყონიებთან, რომლებიც, ადვილი შესაძლებელია, დედის ნათესავები ყოფილიყვნენ.თავად დიმიტრი მგალობლიშვილი ამერიკიდან დაბრუნების შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა ერკეთის საშუალო სკოლაში მნედ, მიამბო რევაზ კალანდაძემ.

რაც შეეხება ფრიდას დედას -მაკა ჭყონიას მას კავშირი არ გაუწვეტია ოზურგეთში დატოვებულ ვაჟებთან, რომლებიც ახლობლობდნენ ნახევარძმა დიმიტრი მგალობლიშვილთან და მის შთამომავლობასთან. აღნიშნულის შესახებ მიამბო ჩვენთვის ოზუგეთელებისთვის საყვარელმა და პატივსაცემმა ექიმმა-ბატონმა **ილო დოლიძემ** (ფრიდას ძმის ,ილიკოს შვილიშვილია): ,,ჩვენ დღესაც ვახლობლობთ ზურაბ ჯინჭარაძესთან - დიმიტრი მგალობლიშვილის შვილიშვილთან, (ქალბატონი ცუცუნას შვილი) გვაქვს მისვლა-მოსვლა.

მაკა ჭყონია ონჭიქედში ტრაგიკულად დაღუპულა,სახლიდან მეზობელთან მიდიოდა თურმე,მომაღლო ადგილიდან ჩამოვარდნილა და დამტვრეულა.(ამ ადგილს დღესაც ,,მაკას სახტომელას" ეძახიან).

არავინ იცის, რა ბედი ეწია ფრიდა მგალობლიშვილს.1 895 წლიდან ამერიკული პრესა მას აღარ იხსენიებს. შესაძლოა, იგი იმავე წლიდან ისევ საფრანგეთში დაბრუნდა ,არც ახლო ნათესავებმა იციან რაიმე მისი შემდგომი ბედის შესახებ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა: გურული მოჯირითეების ამერიკაში მოღვაწეობა პირველი მსოფლიო ომის დაწყებისთანავე შემცირდა,ს აზღვრების დაკეტვის შემდეგ მოგზაურობა ძალიან გაძნელდა. წლის განმავლობაში ერთი მცირე ჯგუფი თუ გავიდოდა და ისიც შემცირებული რაოდენობით.

გურულების ერთ ნაწილი ამერიკაში დარჩენილა სამუშაოდ. სამშობლოში დაბრუნებულები კი ბოლშევიკებისაგან გამუდმებით იდევნებოდნენ.საკუთარი თავისა და ახლობლების გადასარჩენად მოჯირითეები თავისივე ხელით ანადგურებდნენ მამხილებელ მასალებს -ფოტოებს, წერილებს და ყველაფერს, რაც მათ ამერიკასთან აკავშირებდათ.

მანანა ლომაძე,
ოზურგეთის სამუზეუმო
გაერთიანების ფონდების მთავარ მცველი.

7 დღის ამინდის პროგნოზი

15 მარტი ორშაბათი	16 მარტი სამშაბათი	17 მარტი ოთხშაბათი	18 მარტი ხუთშაბათი	19 მარტი პარასკევი	20 მარტი შაბათი	21 მარტი კვირა
მზე, ღრუბელი- +6+14	მზე, ღრუბელი- +4+17	წვიმა +4+13	წვიმა +3+13	წვიმა +3+9	მზე, ღრუბელი- +4+12	წვიმა +3+11